სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 18 ივნისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12). ტელეფონი 16—62.

№ 124 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების № 124

მწუხარებით გულ-მოკლული მამა იასონ, დედა გოგუცა და ლოლა ნიკოლაიშვილები ღრმა სი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს პირველის და მეორის საყვარელ შვილის, ხოლო მესამის ძვირფასი ძმის

**გრიშა ნიკოლაიშვილის**

ტრაღიკულად გარდაცვალებას. უკანასკნელ გამოთხოვების დღეთ დანიშნულია სამშაბათი 18 ივნისი, მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთ. სახლიდან (ქუთაისი, ძველი თფილისის ქუჩა) საღ. 5 საათზე, დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის ეკლესიის გალავანში.

ანეტა და ნოე ხომერიკები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი ძმის წულის

**გრიშა ნიკოლაიშვილის**

ტრაღიკულად გარდაცვალებას.
დასაფლავება მოხდება ქუთაისში, 18 ივნისს, საღ. 5 საათზე.

ნავთლუღის წითელ-გვარდიელების შტაბი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობთ ძვირფას ამხანაგის

**პავლე ვასილის ძე აბაშიძის**

ტრაღიკულად გარდაცვალებას. ცხედარს დღეს წაასვენებენ სამშობლოში სად. ბელაგურში.

თავზარ დაცემული მელიტონ დავითის ძე არველაძე, ბარბალე არველაძისა, მიშა, ლიუცია და დავით არველაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგთ, პირველი ძვირფასი მეუღლის, მეორის ერთგული რძლის, ხოლო დანარჩენთა დაუვიწყარი და უდროვოთ დაკარგული დედის

**ოლია არველაძის**

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 18 ივნისს, ს. ჭაგნში.

## მთავრობის დეკლარაციის გამო

საქართველოს პირველი მთავრობის დეკლარაცია ნამდვილი დემოკრატიული ხასიათისაა. იგი ერთიანათ ეყრდნობა იმ რევოლიუციონურ მუშაობას, რომელსაც წელიწად-ნახევარია აწარმოებს მუშათა კლასი და მთელი მშრომელი მასსა რუსეთის თვითმპყრობელობის ნანგრევებზე. არსებითათ ისეთი, რაც წინანდელ ამიერ-კავკასიის მთავრობას არ ეთქვას, ამ დეკლარაციაში არაფერია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის გამოცხადებას.

საქართველოს ახალი წყობილების განმტკიცება მთავრობას იმავე გზით მიაჩნია საჭიროთ და შესაძლებლათ, რა გზითაც მიმდინარეობდა დღემდე ცხოვრება და მყარდებოდა წესი და რიგი ჩვენს კუთხეში, ე. ი. დემოკრატიის საშუალებით და მისი ინტერესების დაკმაყოფილებით.

ამ გზას დღემდე გულახდილი, სააშკარაოზე გამოსული მოწინააღმდეგე არ ჰყოლია.

მაგრამ რომ ერის წიაღში ბევრი ძალა იყო არსებული მდგომარეობით უკმაყოფილო,—ეს ჩვენთვის არასოდეს არ ყოფილა საიდუმლოება. არც ჩვენ ხალხს ჰქონდა იმის იმედი, რომ საჭირო ძირითადი რეფორმები უმტკივნეულოდ და უდავიდარაბოთ გატარდებოდა.

და აი მთავრობის დეკლარაციის განხილვის დროს საქართველოს პარლამენტმა ნამდვილი სარკის როლი ითამაშა და ყველა წრეების და პარტიების გულისნადები გამოააშკარავა.

თვით კამათის შინაარსს ჩვენ არ შევეხებით. აქ აღსანიშნავია მხოლოდ ის ძალთა განწყობილება, რომელიც ერის წიაღში შეიქნა პოლიტიკურ მიმდინარეობათა შორის. აქ გამოჩნდა ორი მთავარი ხაზი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებისა. აქ ჩამოყალიბდა და გაინასკვა—ერთი გზა, რომელსაც მთავრობა მისდევს და რომელიც აერთებს ყველა დემოკრატიის მიმდევარს, ყველა რევოლიუციის მომხრეს, მთელ სასიცოცხლო ძალას ჩვენი ერისას, რომელსაც კი ისტორიის ჩარხის ტრიალმა მომავალი ეკუთვნის. აქ წარსული, ძველი, ისტორიისაგან განწირული ძალები—ძალები მემამულე-ფეოდალური წრეების, იმათი, ვინც რევოლიუციის ქარტეხილმა დაამხო, ხელ-ახლა ლაუშარდაპირდენ მთელ ხალხს, მთელ დანარჩენ საზოგადოებას. ძველი [illegible] ნასკნელთ შეიტაკენ, საბოლოო გადამწყვეტი ბრძოლის კვანძი გასკვნეს, უკანასკნელი განსაცდელი და ხიფათი დაუყენეს წინ ამდენი ხნის ძლევამოსილს ჩვენში რევოლიუციას...

ახალი საქართველო, საქართველო სოციალისტური, დემოკრატიული, განახლებული, საქართველო სასიცოცხლო ძალების მატრებელი ამ დღეს შეერთდა. ამ პარტიათა შორის თითქოს მოისპო განსხვავება საერთო საფრთხის წინაშე. სოციალისტ-ფედერალისტის განცხადებანი ტაშს და მოწონებას იწვევდენ სოციალდემოკრატებში. სოც. რევოლიუციონერები გულწრფელად აცხადებენ, რომ ისინი იცავენ სოც. დემოკრატიას, რადგან ხედავს, რომ იერიში მიტანილი მათ წინააღმდეგ, არის იერიში მთელი დემოკრატიის შესასუსრათ გამზადებული. ან როცა სოც.-ფედერალისტთა ერთი ორატორთაგანი აგინებდა ჩვენს ფრაქციას, რომ დროთა განმავლობაში იყო შემთხვევა, როცა სოც.-დემოკრატები სამხედრო საქმეში უკავშირდებოდენ ნაციონალ-დემოკრატებ, ხოლო ამ უკანასკნელებმა კი ბოროტათ გამოიყენეს ეს კავშირიო, სოციალდემოკრატიის ფრაქციიდან გაისმა ხმები: „მართალია" შევცდით, რომ მათ ვენდეთ ამ რიგათ ამ თუნდ მცირე განცხადებაში იხატება ის საჭიროება მტკიცე დემოკრატიულ კავშირისა, რომელიც იხსნის დემოკრატიას, რეფორმებს და ხალხს.

და თუ ამ კამათმა შეაღლა ერთად დემოკრატიის რაზმები, მან დაგვანახვა აგრეთვე, რომ დემოკრატიისადმი მტრობა როდ არის დაკავშირებული დამოუკიდებელ საქართველოს ბედთან ეს ჩვეულებრივის გამჭრიახობით აღნიშნა ამხ. ნ. ჟორდანიამ. საქართველოს დამოუკიდებლობა—ეს ამიერიდან თანშეზრდილია იმ რეფორმების განხორციელებასთან, რომელსაც დემოკრატია შხარის. გაუქმება ამ რეფორმების შეიძლება მხოლოდ გარეშე ძალით და არა გაბატონებულ წოდების ფაფხურით. გარეშე ძალის ჩარევა—ეს იქნებოდა უკრაინის ბედის გადმოტანა და რევოლიუციის დასამარება. კიდევ მეტი—ეს იქნებოდა ახალი დაუშრეტელი წყარო ანარქიისა, არევდარევისა და საშინელ მომავალს გაუმზადებდა მთელ ერს და მის მომავალს.

ნაციონალ-დემოკრატებმა, რომლებმაც ნორჩ რესპუბლიკის პირველსავე დღეებში აღმართეს ეს ბრძოლა დემოკრატიის წინააღმდეგ და იგი გაიხადეს თვითმოქმედების ქვაკუთხედათ, აშკარაო და ამტკიცეს, რომ მათი ეროვნულობა—ერის უარყოფაა, დემოკრატობა კი—დემოკრატიის დასამარება. რომ მათი სახელწოდება დიპლომატიური შირმაა, რომელიც შინაარსით სულ წინააღმდეგს შეიცავს.

ანტიდემოკრატიული და ანტიეროვნული პარტია, პარტია უარმყოფელი ერის დამოუკიდებლობის და დემოკრატიულ რეფორმების, პარტია ძველი საქართველოს იდეოლოგათ მოვლინებული და ძველი ცხოვრების მოტრფიალე, აივნ გამოეთიშა გუშინ მთლიან საქართველოს. არა კლასთა ბრძოლის იდეოლოგები გახდენ მიზეზი კლასობრივ ურთიერთობის გამწვავების, არამედ კლასთა ჩაგვრის მოციქულნი და მოტრფიალენი. მათ ვერ მიიღეს დამოუკიდებელი საქართველო, რომელიც „პომეშჩიკთა" საქართველოს არ ემონება, მათ ვერ შესძლეს ამ ერთ მუჭა ყოფილ მსხვილ მესაკუთრეთა ინტერესებზე მაღლა ასვლა, თუმცა ზეკლასიურ იდეოლოგიას ჩემულობდენ, კიდევ მეტიც. მათ ამ ერთ მუჭა ხალხს ანაცვალეს მთელი ერის სუვერენობა და უფლებები, არსებობა და მომავალი საქართველოსი.

და თუ მათმა შავმა განზრახვებმა ოდესმე ფრთა შეისხეს, თუ საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალი, კვლავ უცხოელთა უბრალო პროვინციათ იქცა—უფლებას და დემოკრატიულ წყობილებას გამოეცალა—ეს იქნება საქმე ამ ერთი მუჭა ხალხის მოღალატური, მუხანათური მოქმედების.

მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მრავალ ქარცახული დემოკრატია ამ უკანასკნელ ქარსაც გაუძლებს და თავის ალამს—წითელ დროშას ძლევა-მოსილი მიიტანს იქ, სადაც „თავისუფლებას ტახტი უდგია ქვეყნად". იგი გაამაგრებს ნორჩ რესპუბლიკას და იხსნის მას გარეშე ძალის შინაური მტრებისაგან თავის ხელთქმნილ წყობილებას.

ხოლო მთავრობა, რომელმაც ასე შეადუღა დემოკრატია, კვლავ, იმედია, ენერგიულათ განაგრძობს ამავე გზით სიარულს და ამით გაამართლებს მთელი ხალხის თანაგრძნობას და ნდობას. ჩვენს მთავრობასთან ვართ და ვიქნებით ამ საქმეში. მასთან იქნება საქართველოს დემოკრატიაც.

## შავი აჩრდილი.

15 ივნისის სხდომაზე დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის პირველმა მთავრობამ ეროვნულ საბჭოს წინაშე გამოაქვეყნა თავისი დეკლარაცია, რითაც ქართველ ხალხს ამცნო მომავალი სამოქმედო გეგმა.

მთავრობა სამართლიანათ აღნიშნავს, რომ მის სამოქმედო პროგრამაში მთავარი ადგილი უკავია საქართველოს ნორჩ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვას, მისი უზენაესობის შერჩენას და რომ ყველა სხვა ნაბიჯები ემსახურება ამ მთავარ დებულებას. ერთი ასეთ ნაბიჯთაგანია ცხოვრებაში გატარება იმ ცვლილებათა, რომელიც რევოლიუციამ წამოაყენა. ასეთია განსაკუთრებით აგრარული საკითხი, გლეხთა მიწათმფლობელობის უზრუნველყოფა.

მთავრობის დეკლარაციამ დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია, მთელი ორი დღე გაგრძელდა კამათი მთავრობის სამოქმედო გეგმის გარშემო. როგორც სამართლიანად აღნიშნა სოც.-დემ. ფრაქციის წარმომადგენელმა ნ. ჟორდანიამ, საქართველოს პირველ მთავრობის პირველ დეკლარაციის განხილვამ ნამდვილი პარლამენტარული განწყობილება შექმნა ეროვნულ საბჭოში: წინააღმდეგობა, რომელიც ცხოვრებაში არსებობს, გადმოტანილ იქნა საბჭოში, სადაც ყველა პარტია იძულებული იყო ეთქვა ის, რასაც ნამდვილათ ფიქრობდა. ამიერ-კავკასიის სეიმში ზოგიერთი პარტია იმას არ ამბობდა, რასაც ფიქრობდა და სინამდვილეში აკეთებდა. ასე იქცეოდა თათრების მემამულეთა დამცველი პარტია „მუსავატი". ამ პარტიამ აგრარულ კანონსაც კი დაუჭირა მხარი, თუმცა ამ კანონით მის კლიენტებს მიწები ერთმევა, რის წინააღმდეგ მიმართული „მუსავატის" მთელი მოღვაწეობა.

დღემდის ასე იქცეოდა ერთი პარტია, რომელიც თავის თავს თვალთმაქცობით თუ გაუგებრობით ეროვნულ დემოკრატთა პარტიას უწოდებს. შარშან ნოემბერში საქართველოს ეროვნულ კრებაზე ეროვნულმა დემოკრატებმა კრიწტის დაუძრავათ მიიღეს სოც. დემოკრ. რეზოლიუციები, სწორეთ ისე როგორც სეიმში თათრების „მუსავატი" აგრეთვე ერთხმათ იღებდა ჩვენს რეზოლიუციებს. დღეს „მუსავატი" ცეცხლით და მახვილით სპობს იმ აგრარულ კანონს, რომელსაც სეიმში თითონ მისცა ხმა. აგრევე იქცევა ქართული „მუსავატი"—პარტია ეროვნულ დემოკრატებისა. ამათ დღეს ამოიღეს ხმა ეროვნულ საბჭოში, თუმცა ჩვენს შინაურ ცხოვრებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მაგრამ მოხდა ერთი ეპიზოდი, რომელმაც ეროვნულ-დემოკრატებს ფრთები შეასხა: ეს არის გერმანიის და ოსმალეთ-ადერბეიჯანის ჯარების სიახლოვე. ეს აშკარა გახადა დეკლარაციის გარშემო ატეხილმა კამათმა. და თუ 15 ივნისის სხდომაზე წერეთლის ზრდილობიანმა შენიშვნამ, რომ ეროვნულ დემოკრატების განცხადება ნიშნავს გარეშე ძალაზე დაყრდნობას და მაშასადამე ღალატს, სასტიკი პროტესტი გამოიწვია ნაციონალ დემოკრატების მხრით, 16 ივნისის სხდომაზე ამ პარტიამ ნიღაბი ჩამოიხსნა და აშკარათ თქვა თავისი გულის ნადები: რომ ის მზადაა დაეყრდნოს ყოველგვარ ძალას, რათა ამით შემუსროს რევოლიუციონური ორგანიზაციები და ახალი აგრარული კანონი.

სოციალისტ-რევოლიუციონერმა გ. ნათაძემ სისწორით აღნიშნა ეროვნულ დემოკრატების სახით შავი აჩრდილის გამოჩენა ჩვენს პოლიტიკურ ცაზე. ამ შავმა აჩრდილმა საარაკო ერთსულოვნობა ჩამოაგდო ეროვნულ საბჭოს ყველა პარტიათა შორის და ყველასათვის ნათელ ჰყო, რომ ეს პარტიები არავის არ მისცემენ ნებას საქართველოს დამოუკიდებლობას [illegible] ხელი შეახონ. ნაციონალ-დემოკრატები განმარტოვებული დარჩენ საბჭოში.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ისინი განმარტოვებული დარჩებიან აგრეთვე ხალხშიც და სანამ იარსებებს საქართველო, მანამდის ეროვნულ-დემოკრატების შუბლზე შავი ასოებით იქნება აღნიშნული: „მოღალატე".

მაგრამ ეს საკმაო არ არის. საჭიროა, ის ერთსულოვნობა, რომელმაც ყველა დემოკრატიული და სოციალისტური პარტიები დროებით შეაერთა საბჭოში, გადატანილ იქნას აგრეთვე ცხოვრებაში. საჭიროა საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასიცოცხლო ძალების შეერთება და შავი აჩრდილის, ჩვენი დამოუკიდებლობის საფრთხის თავიდან აშორება.

შემდეგში ჩვენ სხვადასხვა გზით წავალთ, მაგრამ დღეს, სანამ გარეშე ძალების სიახლოვის გამო შავი საფრთხე თავს დაგვტრიალებს, საჭიროა ერთსულოვანი მოქმედება, რომლისკენაც ჩვენ მოვუწოდებთ ყველა შეგნებულს და პატიოსან მოქალაქეს.

## ერობის შემოღება

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება საათაშვილის წერილი სოფლათ საექიმო დახმარების მოუწყობლობის შესახებ. კვირის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია სამტრედიიდან, სადაც სოც.-დემ. პარტიის კომიტეტს გამოუთქვამს სურვილი გაუქმდეს არსებული სასურსათო კომიტეტები და გამოცხადდეს თავისუფალი ვაჭრობა. ცხოვრების სხვა დარგებიც მოუწყობელია: არ გვაქვს სოფლად რიგიანი გზები, ხიდები, მოუწყობელია სასამართლო, სკოლა; სოფლებში გაჩენილა მინდვრის თაგვები, რომელნიც მოსავალს სპობენ და სხვ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ რამდენიც არ უნდა ვატვირთოთ ძალით ცენტრალურ მთავრობას, რამდენიც არ უნდა ვაძალოთ ის, მას არ ძალუძს არც საექიმო დახმარების მოწყობა და არც სასურსათო საქმის მოწესრიგება. ყველა კულტურულ ქვეყნებში მსგავს ფუნქციებს ასრულებენ ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოები, ეს რუსეთის თვითმპყრობელობამაც კი შეიგნო და რუსეთში ერობა შემოიღო, თუმცა განაპირა კუთხეებს არც ეს აღირსა.

აღნიშნულ და სხვა მრავალ ადგილობრივ საქმეების მოწესრიგება რასაკვირველია ცენტრალურ მთავრობის დახმარებით და მასთან შეთანხმებით უნდა აწარმოოს ადგილობრივმა თვითმართველობამ—ერობამ. მხოლოდ ერობას შეუძლია [illegible] საქმეების გაძღოლა [illegible] ეს შე[illegible] ერთფეროვან, ერთს[illegible] საზღვრულ სისტემას სოფლის ცხოვრებაში, რაც ასე გვესაჭიროება დღეს. ეს გააიაფებდა მართველობასაც, რაც დემოკრატიულ წყობილების ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანია.

ორი მთავარი საკითხი—სასურსათო კრიზისის და ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლა—მხოლოდ დემოკრატიულათ მოწყობილ ერობას შეუძლია ნაყოფიერათ. ერობამ უნდა იკისროს ის ფუნქციები, რომელსაც დღეს სასურსათო კომიტეტები ასრულებენ და ერობამ უნდა მოაწყოს სოფლათ მილიცია.

ერობის კანონი უკვე გამოცემულია. მთავრობის მიერ ინსტრუქტორებიც დანიშნულია. შეიძლება ზოგი რამ შესაცვლელიც იყოს ერობის ახალ კანონში, რომელიც ამიერ-კავკასიისთვის გამოიცა. მაგრამ საერთოდ ის სავსებით აკმაყოფილებს დემოკრატიულ მოთხოვნებს და ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა იქნას განხორციელებული საქართველოს ტერიტორიაზე.

საჭიროა ეხლავე შევუდგეთ ახალ საერობო არჩევნების მოხდენას.

## პრესა

გაზეთი „საქართველო" ასე აფთხილებს ჩვენი რესპუბლიკის მთავრობას:

„ჩვენმა მთავრობამ, რაკი იგი ნორჩი, ჯერედ გაუმაგრებელი სახელმწიფოს მთავრობაა, უფრო მეტი სიფხიზლე და სისასტიკე უნდა გამოიჩინოს რომ თავიდანვე არ გამოეთხაროს ძირი ჩვენს ქვეყანას, რომელსაც გარედან და შიგნიდან მრავალი მტერი და მოღალატე ჰყავს. ამიტომ ჩვენ არამც თუ ხელს არ უშლით, როგორც ეს „ერთობას" ჰგონია, არამედ ყოველის ჩვენის ძალღონით დავეხმარებით მთავრობას განდევნოს და დასაჯოს მოღალატენი. მაგრამ ამისათვის არამც თუ საკმარისი არ არის—პირდაპირ მავნებელია ფუჭი მუქარა, რომელსაც არ მოსდევს შედეგად ამ მუქარის აღსრულება".

გაზეთი სრულს სიმართლეს ამბობს, მაგრამ ერთი რამ ავიწყდება: მისმა მიმდევრებმა აშკარათ გამოსთქვეს ეროვნულ საბჭოში გარეშე ძალაზე დაყრდნობის სურვილი, რაც ალბათ ღალატსაც ნიშნავს. რას ურჩევს ამის გამო „საქართველო" ჩვენს მთავრობას? საჭიროა თუ არა ბრძოლა მათ წინააღმდეგ?

* * *

იგივე „საქართველო" ასეთი ფილოსოფიით უმასპინძლდება მკითხველებს, მოჰყავს რა ბ. გვაზავას მიერ წარმოთქმული სიტყვები საქართველოს მტერი არა ჰყავსო:

„განა ემტერება ვინმე იმ კაცს, რომელსაც თავისი სახლი მუდამ ღია აქვს ყველასათვის და მთელი თავისი სიცოცხლე ვისთვისაც არ გინდათ იმისთვის ზრუნავს, ხოლო თითონ ჩამოგლეჯილი და ჩამოხეული დადის?

საქართველო აქამდე სწორედ ასეთი იყო.

ის აშენებდა რუსეთს,
აშენებდა მაჰმადიანებს,
აშენებდა სომხებს
და ინგრეოდა თითონ.

გამვლელი და გამომვლელი საქართველოში თავს ბატონად სთვლიდა და თვით ქართველი ყველას შემყურე იყო:

რას იტყოდა რუსი?
რას იტყოდა სომეხი?
რას იტყოდა თათარი?

და ყველა ესენი, ჩვენს გარდა, თავისთვის ყველაფერს ამბობდნენ და შესანიშნავად ეწყობოდნენ ჩვენს მხარეში.

და იმდენად კარგად ჰგრძნობდნენ თავს, რომ სახლში დაბრუნებასაც აღარ ჰფიქრობდნენ და რჩებოდნენ ჩვენში:

„მეგობრებათ" და
„მეზობლებათ".

და განა შეიძლება მათი გამტყუნება?

ნათქვამია: „გიჟი ქორწილში შევიდაო, ჩემსას ესა სჯობიაო".

შეიძლება ჩვენ მართლა „ქორწილი" გვქონდა სხვებისათვის. ალბათ „საქართველო" შეეცდება ყველა ისე გრძნობდეს თავს ჩვენს ქვეყანაში, როგორც [illegible]ების ბანაკში.

## მამულიშვილები...

(შთაბეჭდილებანი).

ეროვნული საბჭოს 15—16 ივნისის სხდომებს ვილაცამ ისტორიული დღეები უწოდა. სრული სიმართლეა. მაგრამ არაა მართალი, როცა ფიქრობენ, ვითომ ეს დღეები ისტორიულია იმიტომ, რომ ნაციონალ-დემოკრატების მოღალატური განზრახვები გამოაშკარავდა. მეცნიერულის თვალსაზრისით ალბათ ასეა, მაგრამ მე ხომ უბრალო დამსწრე ვარ და არა მეცნიერი და მე მხოლოდ ამ ორ დღეში გავიგე ერთი რამ, რაც მუდამ აჩრდილივით დამდევდა თან: რატომ ითვლებოდა დემოკრატიულ წრეებში და პრესაში სათაკილოთ კეთილშობილური სიტყვა „მამულიშვილი". დემოკრატიას დღიდის ძუძუსავით უყვარდა და უყვარს სამშობლო, მამული. პოეტები ლექსებს უძღვნიდენ მამულს, მომღერლები სიმღერებში აქებდენ მამულიშვილობას. ასე იყო, სხვათა შორის, საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს, როცა ხალხმა ბასტილია აიღო და წონობის უღელი დაამსხვრია. ჩვენში კი სულ სხვა იყო... ჩვენში სათაკილო გახდა წოდება მამულიშვილი, ეროვნული. ამან ბევრს გულწრფელ ადამიანს აუბნია გზა-კვალი; ბევრი დარწმუნებული იყო, რომ ჩვენმა დემოკრატიამ სოც.-დემოკრატიის ხელმძღვანელობით და ძალდატანებით შეიძულა მამული, მამულიშვილობა. გულუბრ[illegible] მიხეილ მაჩაბელმა საბჭოშიც კი გაიმეორა მსგავსი ბრალდება. თქვენ მთელი ხალხი გაასოციალისტეთო, [illegible] თობ მხიარულ გუნებაზე დააყენა საწ[illegible] წევრები.

არ ვიცი გულწრფელია თუ არა პარტია, რომელიც თავის თავს ეროვნულ-დემოკრატიულს უწოდებს, მაგრამ ულმობელი ყოფილა მემკვიდრეობის კანონი. იყო დრო, როცა მამულიშვილობა ხელს არ უშლიდა ზოგიერთებს ჩინორდენებზე გაეყიდა მშობელი ერის ბედიღბალი. ისიც გვახსოვს, რომ მამულიშვილები მხოლოდ ღვინის სმის დროს იგონებდენ მშვენიერ საქართველოს, მაგრამ ქართული ენის უცოდინარობის გამო ამასაც მხოლოდ რუსულ ენაზე ახერხებდენ.

დღესაც გვყავს პარტია ეროვნულ დემოკრატებისა, მაგრამ რაშია ამ პარტიის ეროვნული სახე, ჩვენ ვერ გამოვარკვიეთ და ამათო ეკითხებოდენ ამ [illegible]ბულ მამულიშვილებს საბჭოს ტრიბუნიდან: გვითხარით რათ უწოდებთ თავს ეროვნულს და დემოკრატიულს. უცხოელების ხიშტებზე დაყრდნობა საკუთარ ხალხის წინააღმდეგ ეს ყოფილა ეროვნული მოღვაწეობა! ხალხის სურვილების და ინტერესების წინააღმდეგ წასვლა, ეს არის თურმე დემოკრატობა!

და მე მეშინია, რომ ნაციონალ-დემოკრატების წყალობით, ისევ აირევა ტერმინოლოგია: სიტყვა „ეროვნული" ამიერიდან ისევ ძველებურით აღნიშნული იქნება ცნების: ერის საწინააღმდეგო, მაგრამ ქართული ლექსიკონი გამდიდრდება ერთი ახალი სიტყვით: სიტყვა „დემოკრატი" ამიერიდან გამომხატველი იქნება ცნების: ხალხის მტერი, როგორც სიტყვა „ჰეშმარიტ რუსი" აღნიშნავდა არა რუსსა, თუ კი ის ნაძირალი იქნებოდა.

ჩვენს თაობას რა უჭირს, მაგრამ ვაი ფილოლოგებს და ისტორიკებს ბ. ნაციონალ-დემოკრატების გადაკიდე!

ელი.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

(15 ივნისის სხდომა).

საქართველოს ეროვნულ საბჭოს 15 და 16 ივნისის სხდომები ჭეშმარიტათ შეიძლება ჩაითვალოს ისტორიულ სხდომებათ.

აქ სავსებით გამოაშკარავდა ის წინააღმდეგობა, ის ანტაგონიზმი, რომელიც არსებობს ერთის მხრით ქართველი დემოკრატიისა და მეორეს მხრ[illegible] ქართველ მემამულეთა კლასებს შორის. ბრძოლის მთავარი მიზეზი იყო მთავრობის დეკლარაცია, რომელიც [illegible] თანამედროვე ნოე [illegible] [illegible] კითხა. ერთ მხარეზე [illegible] სტურ პარტიების [illegible] სოც.-დემ. მეთაურობით, [illegible] ზე დაირაზმენ ჩვენი [illegible] წოდებულ [illegible]

წყვეტილი ეროვნულ-დემოკრატებამდე. სხდომებს აუარებელი გარეშე პირები ესწრებოდენ, ამბობდენ, ეროვნულ დემოკრატებს განზრახვა აქვთ სასტიკათ გაილაშქრონ ჩვენი მთავრობის წინააღმდეგო და ყველას აინტერესებდა საკითხი, თუ რა სახით მოხდებოდა ეს გალაშქრება საქართველოს პარლამენტში. 15 ივნისის სხდომას დაესწრენ აგრეთვე გერმანიის ელჩი გრაფი შულენბურგი და სხვა უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლები.

დეკლარაციის წაკითხვის შემდეგ იმართება კამათი.

ს. ფირცხალავა (ს. ფ.) ეხება საქართველოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობას და იმ პირობებს, რომელშიაც ეს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, ამბობს ორატორი—დიდი აღფრთოვანება გამოიწვია სოციალისტ-ფედერალისტთა შორის, რომელთა უახლოეს მიზანს შეადგენს ფედერაცია. ჩვენ გვინდოდა რუსეთის ფედერატიულ ნიადაგზე მოწყობა, მაგრამ ისტორიამ არ გაამართლა ჩვენი იმედები. ჩვენ მაინც გვწამს, რომ საქართველო მომავალში შეუერთდება მეზობელ ერებს და შესდგება თავისუფალი კავშირი. დღეს კი ვიცავთ დამოუკიდებლობას და ამიტომ ნდობას ვუცხადებთ მთავრობას და აღვუთქვამთ მას ყოველგვარ დახმარებას.

შემდეგ ორატორი ეხება მთავრობის დეკლარაციას და აღნიშნავს, რომ ზოგიერთ საკითხებს არ აქვს ყურადღება მიქცეული, ასეთია მაგ., სამხედრო ძალის შექმნის საჭიროება; ჩვენი და გერმანიის ურთიერთობამ უნდა მიიღოს გარკვეული უფლებრივი სახე, უნდა იყოს გარკვეული ჩვენი დამოკიდებულება სხვებთან, კერძოთ ადერბეიჯანთან და სომხეთთან, მეტათ მკრთალათ არის დეკლარაციაში აღნიშნული მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საჭიროება. ყველა იმ სურვილების განსახორციელებლათ, რომელიც დეკლარაციაშია აღნიშნული, საჭიროა მთავრობის მოქმედებას დაედვას საფუძვლათ ორი პრინციპი: მთავრობას უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ ეწევა სახელმწიფოებრივ მოქმედებას და რომ მას საქმე აქვს ქართველ ერის სახელმწიფოსთან.

კ. აბხაზი (უპარტიო) მიესალმება მთავრობის ნაბიჯებს, გერმანიასთან დაახლოვებლათ გადადგმულს. ეხება დეკლარაციის იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია შინაურ კითხვებზე და ამბობს: დეკლარაციაში ნათქვამია, უნდა მოისპოს მონარქიზმის ყოველივე საფუძველიო. ეს მხოლოდ სურვილია. იმ პარტიის მოქმედება, რომელიც სათავეში უდგას მთავრობას, არღვევს ამ დებულებას. პროვინცია მოშორებულია ცენტრს, მთავრობის განკარგულებებს არ ასრულებენ. მარტო სურვილათ დარჩება აგრეთვე ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესებაც. ჯერ კიდევ არ შეუდგენიათ ბიუჯეტი, არ შეუმუშავებიათ ფინანსიური სისტემა და ასეთ პირობებში უმიზნო ხარჯებს უხვათ ეწევიან. დეკლარაციაში ნათქვამია, მთავრობა ეცდება გაატაროს ცხოვრებაში აგრარული რეფორმაო. ასე რბილათ არ უნდა გამოეთქვა მთავრობას ეს აზრი. ეცდება,—ეს უკან დახევას ნიშნავს. ჩანს აგრარულ კანონს აქვს ორგანიული ნაკლი. ეს კანონი უნდა დაუბრუნდეს განსახილველათ საქართველოს დამფუძნებელ კრებას.

დასასრულ ორატორი ეხება მართვა-გამგეობის მოწყობას და ამბობს, რომ ამა თუ იმ ადგილზე უნდა ნიშნავდენ მცოდნე სპეციალისტებს და არა პარტიულ ამხანაგებს. დაწესებულებებში დღეს ვერ არის წესრიგი დაცული, ვერ არჩევენ სად თავდება სახელმწიფოებრივი და სად იწყება კერძო.

დ. ჩიქოვანი (რად.-დემ.) თვით დეკლარაციაზე და დღევანდელ მთავრობის მოქმედებაზე არაფერს ამბობს. იგი მთელი საათნახევარის განმავლობაში ლაპარაკობს იმაზე, თუ რა „მემკვიდრეობა“ მიიღო ახალმა მთავრობამ, ეხება ს.-დემოკრატების ტაქტიკას და დიდ სიხარულს გამოთქვამს, რომ მათი ტაქტიკა არ გამართლდა და მთლიანი რუსეთის იდეა დამარცხდა. რადიკალ-დემოკრატებმა თავიდანვე წამოვაყენეთ საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკას მოთხოვნილებაო და ეს რომ ადრე მომხდარიყო, დღეს ყველაფერი რიგზე იქნებოდა, მაგრამ ს.-დემოკრატების ბრალი ყოფილა თურმე ყველაფერი, რაც კი საქართველოს თავზე გადახდა. მიეცით ბატონობა რადიკალ დემოკრატების ახლათ გამოჩეკილ პარტიას და საქართველოს ბედსაც ძაღლი არ დაჰყეფსო...

მინისტრთა თავმჯდომარე ნოე რამიშვილი უპასუხებს დ. ჩიქოვანს და ამბობს: ჩიქოვანმა აქ განაცხადა, მიწაზე კერძო საკუთრების დატოვებას მნიშვნელობა აქვს უცხო ერებისთვისაცო. ამის საწინააღმდეგოთ მე მთავრობის სახელით სასტიკ პროტესტს ვაცხადებ (ტაში).

შემდეგ ორატორი ეხება აბხაზის სიტყვას და ამბობს, რომ დღეს რევოლიუციაა და არა გასაკვირია, თუ ზოგიერთ პროვინციებს არ აქვთ მჭიდრო კავშირი ცენტრთან. რაც შეეხება ბიუჯეტის შედგენას, ეს ჯერ ვერ მოვასწარით. აქ მთავრობის წინააღმდეგ გამოლაშქრებას საფუძვლათ უდევს აგრარული საკითხი. მაგრამ აქვე ლაპარაკობენ სახელმწიფოებრიობაზე. და თუ მათ აინტერესებს ძლიერი სახელმწიფოს შექმნა, ხელი უნდა შეუწყონ გლეხების გაძლიერებას. ამას მოითხოვს თვით მათი პროგრამაც. აბხაზმა სთქვა, დეკლარაციაში ნათქვამია: „მთავრობა შეეცდება გაატაროს ცხოვრებაში საადგილ-მამულო რეფორმა“-ო და სხვ. მას სიტყვა „შეეცდება“ მთავრობის სისუსტის მაჩვენებლათ მიაჩნია. დეკლარაციაში კი არაფერი ამის მსგავსი არ არის. (თავის სიტყვის დასამტკიცებლათ კითხულობს დეკლარაციის სათანადო ადგილს). და თუ თქვენ გინდათ სთქვათ, რომ მთავრობა ამ მხრით დასუსტდა—სცდებით (ტაში). ჩვენ ბოლომდის გავატარებთ საადგილ მამულო რეფორმას. თქვენ ამბობთ, რომ აგრარულმა კანონმა შეაფერხა სოფლის მეურნეობაო. ეს არ არის მართალი. საქართველოში დიდი ხანია არ ყოფილა იმდენი მინდვრები დათესილი, რამდენიც წელს არის (ხმები: მართალია, ტაში). აქ გვისაყვედურებენ, რომ ჩვენ ვერ მოვახდინეთ დაწესებულებების ნაციონალიზაცია და ვერ გავაძევეთ რუსები: ჩვენ მიზნათ გვაქვს სახელმწიფოს შექმნა. ეს კი მოითხოვს დიდ გამოცდილებას და დროს. ამიტომ დღესვე შეუძლებელია მცოდნე პირების ჩამოშორება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სხვა ეროვნებას ეკუთვნის. აბხაზმა აქ სთქვა, ჩვენს დაწესებულებებში ვერ არჩევენ სახელმწიფოისას კერძოსაგანო. ჩვენ მოვითხოვთ ამის დასამტკიცებლათ ფაქტებს. ს.-ფედერალისტების წარმომადგენელმა სთქვა, დეკლარაციაში მკრთალად არის აღნიშნული მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საჭიროებაო. ჩვენ ვერ დავპირდებით მუშებს იმას, რისი განხორციელებაც დღეს არ შეიძლება (ტაში) თუ განვახორციელეთ ყოველივე ის, რაც დეკლარაციაში გვაქვს აღნიშნული, დემოკრატია ამით კმაყოფილი იქნება და თავის ნდობას არ მოაკლებს მთავრობას (ხანგრძლივი ტაში).

ი. გობეჩია (ს.-რ.). საჭიროა მთავრობამ მიიღოს ზომები, რომ სტამბოლის კონფერენციაზე ჩვენ არ ჩაგვითრიონ ომში: უნდა მოისპოს მიწის ყიდვა-გაყიდვა, მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს სასოფლო-მეურნეობის განვითარებას და იგი უნდა ჩაერიოს მრეწველობის ორგანიზაციის საქმეში.

დასასრულ, ორატორი კითხულობს ს.-რევოლიუციონერების დეკლარაციას.

ფინანსთა მინისტრი გ. ჟურული ეხება კ. აბხაზის მიერ წამოყენებულ ბრალდებებს და ამბობს, რომ მთავრობა სულ რამდენიმე დღეა მოქმედობს და ამ დროის განმავლობაში ყოვლად შეუძლებელი იყო ბიუჯეტის შედგენა ან ფინანსიურ სისტემის შემუშავებაო. ორატორი აღნიშნავს დღევანდელ ცუდ პირობებს და ჩამოთვლის იმ ნაბიჯებს, რომელიც უკვე გადაუდგამს ფინანსთა სამინისტროს ფინანსიურ საქმის მოსაწესრიგებლათ. მეტის გაკეთება კი დღევანდელ პირობებში ყოვლათ შეუძლებელი იყოვო.

ეროვნულ დემოკრატების სახელით გამოდის გ. ვეშაპელი, რომელიც კითხულობს თავის პარტიის დეკლარაციას. დღევანდელი მთავრობა—ამბობს ორატორი—გარდამავალი მთავრობაა. ჩვენის გადაწყვეტილებით მას უნდა განემტკიცებია მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის საქმე. ამიტომ მაშინ დავადგინეთ პერსონალურათ გაგვეგზავნა ჩვენი წარმომადგენელი მთავრობაში. ჩვენს პოლიტიკურ დამოკიდებულებას კი მთავრობასთან დღეს გამოვარკვევთ. ეროვნულ დემოკრატების სახელით ვაცხადებ, იმ ეროვნულ დემოკრატების, რომლებისთვისაც პარტია არის პოლიტიკური პრინციპი და არ ვლაპარაკობ ისეთების შესახებ, რომლებიც მარტში და მაისში გახდენ ეროვნულ-დემოკრატები*) — ერ. დემოკრატების სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენ კრიტიკას გაუწევთ მთავრობას მანამდის, სანამ ძალთა გაწყობილება ჩვენდა სასარგებლოდ არ შეიცვლება. (სიცილი). სოციალისტებმა იკისრეს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მოწყობა, ეს კი შეუძლებელია. რევოლიუციონური ორგანიზაციები დღესაც არსებობენ, დღესაც განაგრძობენ მსჯელობას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შედგენის შესახებ. სასახლიდან დღემდის ვერ ჩამოხსნეს წითელი დროშა (ატყდება საშინელი ხმაურობა, ისმის ხმები: „ძირს“, „გაუმარჯოს წითელ დროშას“). ბოლშევიკებმა თავის სახელმწიფოს დროშათ წითელი დროშა გამოაცხადეს. გერმანიამ არ იცნო იგი. (კვლავ ხმაურობა. თავმჯდომარე რამდენჯერმე მოუწოდებს წესრიგისაკენ). წითელი გვარდია ხელს უშლიდა რეგულიარულ ჯარის შექმნას (ხმები: „ტყუილია“, „გაუმარჯოს წითელ გვარდიას“.) და ჩვენ აქ გერმანელების ხიშტების წყალობით ვზივართ.

შემდეგ ორატორი ეხება ფინანსიურ მდგომარეობას და მის გასაუმჯობესებლად მოითხოვს აგრეთვე არაპირდაპირი გადასახადების განმტკიცებას. იგი ლაპარაკობს აგრარულ საკითხზე, ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს კანონი მავნებელია თვით მშრომელი ხალხისთვის, მან მოსპო ინტენსიური მეურნეობა, საფუძველი ჩაუყარა სამოქალაქო ომს, ამიტომ თვით მშრომელმა ხალხმა უნდა მოსპოს ეს კანონი. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ უნდა შეიმუშაოს აგრარული კანონი, მთავრობა უნდა შესდგეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეიის მატარებელ პირთაგან და არა პარტიულის თვალსაზრისით.

მოწინააღმდეგებს უპასუხებს ირ. წერეთელი. მის გამოსვლას დარბაზი ხანგრძლივი ტაშით შეხვდა, ეროვნულ-დემოკრატები ი. წერეთლის ყოველ სიტყვაზე რეპლიკით უპასუხებდენ, საშინლათ ხმაურობდენ და წესრიგს არღვევდენ. თავმჯდომარე იძულებული იყო რამდენჯერმე შენიშვნა მიეცა მათთვის. მე—დაიწყო ირ. წერეთელმა—გამოვსთქვამ სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის შეხედულებას საქართველოს რესპუბლიკის პირველ მთავრობის დეკლერაციაზე და იმ კრიტიკაზე, რომლითაც დღეს მის წინააღმდეგ გამოილაშქრეს. უნდა აღვნიშნო, რომ ფრაქცია სავსებით ეთანხმება დეკლარაციის დედა აზრს. ჩვენი ხალხისთვის დღეს არსებითი მნიშვნელობა აქვს საკითხს სუვერენიტეტის დაცვის შესახებ. დამოუკიდებელი მთავრობა იარსებებს საქართველოში როგორც დემოკრატიული, ან სულ ვერ იარსებებს (ხმები: „მართალია“, ტაში). მე შევეხები ეროვნულ დემოკრატების დეკლარაციას როგორც ეროვნულის, ისე დემოკრატიულის თვალსაზრისით. მათ გააკრიტიკეს უმთავრესათ ჩვენი წარსული მოქმედება. აქ ამბობდენ, რატომ დროზე არ გაუწვდინეთ ხელი გერმანიას, არ გამოეყავით რუსეთს, რატომ არ წადით ბრესტ-ლიტოვსკშიო და სხვ. ბრესტ ლიტოვსკში ხომ ის აქტი მოხდა, რომელმაც დაანაწილა რუსეთი? ხომ იციან ეს ეროვნულ-დემოკრატებმა? და მაშინ ჩვენი დემოკრატია რეალურათ იყო შეკავშირებული რუსეთის დემოკრატიასთან. იგი ვერ ჩაიდენდა არაკეთილშობილურ საქმეს და ვერ მიიღებდა მონაწილეობას რუსეთის დანაწილებაში. დემოკრატიის პოლიტიკა იმით განსხვავდება ბურჟუაზიის პოლიტიკიდან, რომ იგი პირდაპირი და კეთილშობილურია. ჩვენი კეთილშობილური პოლიტიკა არის იმის საბუთი, რომ ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ მეგობრულათ გამოწვდილ ხელს, ვისგანაც არ უნდა იყოს იგი. ჩვენი დემოკრატია გულახდილათ მოქმედებდა. ავანტიურისტული პოლიტიკა სხვებმა აწარმოეს და ჩვენ ვიცით ამის შედეგები. იქ მოახვიეს ხალხს ის, რაც ქართველ ხალხს ვერ მოახვიეს ეროვნულ-დემოკრატებმა (ტაში). ვინც ჩვენ გაგვეცნობა იტყვის, რომ ეს ხალხი პატარაა, მაგრამ მისი სიძლიერე, მისი პირდაპირობა, გულახდილი პოლიტიკააო. (ვ. წერეთელი ადგილიდან: ეს სანტიმენტალობაა, სხვებიც იძახიან რაღაცას ადგილიდან). ბატონებო მე შემიძლია ბრძოლა საბუთების წინააღმდეგ, ცალიერ სიტყვების წინააღმდეგ კი ეს ერთობ ძნელია (ტაში), თქვენ არ მოგწონთ, რომ სასახლეზე წითელი დროშა ფრიალებს, მაგრამ გეკითხებით, რომ არ ყოფილიყო ის ძალა, რომელიც ამ დროშას იცავს, ვიქნებოდით ჩვენ დღეს აქ? (ოვაციები). ვეშაპელმა სთქვა, ჩვენ ვზივართ აქ გერმანელების ხიშტების წყალობითო. ეს შეურაცხყოფაა ეროვნული თავმოყვარეობის (ხანგრძლივი ტაში, ხმები: „აბა რატომ მოიწვიეთ?) გარედან რომ უზრუნველყოფილი ვყოფილიყავით, იცოდეთ შინაურ საქმეების მოსაწესრიგებლათ ჩვენ მათ არ მოვიწვევდით არის კი ისეთი პარტიები, რომლებიც გარეშე ძალას მოიწვევდენ ხალხის წინააღმდეგ (ოვაციები). თუ ვინ მოუწოდებს ქართველ ხალხის სუვერენობის წინააღმდეგ, ეს ჩვენ დღეს აქ დავინახეთ. (ხმაურობა ვეშაპელი ადგილიდან იძახის: „სიცრუეა“). მოითმინეთ ბატონებო, მე ამას საბუთებით დავამტკიცებ. თქვენი სიტყვები აქ იწერება სტენოგრაფიულათ. ვეშაპელმა სთქვა: აქ თუ ვზივართ, გერმანელების წყალობითო. (ეროვნულ-დემოკრატები ხმაურობენ. თავმჯდომარე მოუწოდებს წესრიგისაკენ). ჩვენ რომ დღეს რევოლიუციონური ორგანიზაციები დაუპირდაპიროთ სხვა ორგანიზაციებს, ამით სამოქალაქო ომს გამოვიწვევთ. სულ ერთია, აგრარულ კანონს თქვენ უკან ვერ წაგვაღებინებთ. დამფუძნებელ კრებაზედაც რომ განიხილოთ ეს საკითხი, იგი მაინც დემოკრატიის სასარგებლოთ გადაიჭრება. მთავრობა უნდა ადევნებდეს თვალყურს სამოქალაქო ომის გამომწვევთა მოქმედებას. რაც შეეხება დაწესებულებების ნაციონალიზაციას, რა თქმა უნდა სახელმწიფო ენა იქნება ქართული ენა, მაგრამ ვფიქრობთ, ჩვენ დღეს გვყავს თუ არა იმდენი ძალები, რომ ყველა არა ქართველები გავაძევოთ? დღეს ჩვენთვის დამღუპველი იქნება ნაციონალისტური პოლიტიკის წარმოება. თუ თქვენ ფიქრობთ, აწი ჩვენ უნდა ვიბატონოთ, იცოდეთ, რომ გაბატონდა არა ბურჟუაზია, არამედ დემოკრატია. არც ერთ ერს არ ყოლია ისეთი სუსტი, ლაჩარი, უპრინციპო ბურჟუაზია, როგორც ჩვენ (ვეშაპელი ადგილიდან: „ეს თქვენის წყალობით მოხდა“. თავმჯდომარე რამდენჯერმე მოუწოდებს ვეშაპელს წესრიგისაკენ.) რომელი თქვენგანი იტყვის, რომ ასეთი ბურჟუაზია განამტკიცებს სახელმწიფოებრივ წყობილებას? (ტაში) ქართველ ხალხში მთავრობას საფუძველი არ ექნება, თუ იგი დემოკრატიული არ იქნა. დაბოლოს ვეკითხები მათ, რათ გქვიათ ეროვნულ-დემოკრატები? ნუ თუ იმიტომ, რომ როცა მთელი ერი, დემოკრატია განსაცდელშია, შეიცვალონ კილო და გამოვიდენ შიგნიდან საფლავის გამთხრელათ? (ოვაციები).

სამიწადმოქმედო მინისტრი ნოე ხომერიკი ეხება ეროვნულ დემოკრატების მიერ წამოყენებულ ბრალდებას, თითქოს აგრარულ კანონს შეეფერხებიოს სასოფლო მეურნეობა, გაენადგურებიოს ინტენსიური მეურნეობა. მინისტრი ამბობს, რომ ეს არ არის მართალი. ჩვენში არსებითათ დღემდის იყო გლეხური მეურნეობა. მემამულეები არ ეწეოდნენ ინტენსიურ მეურნეობას, ისინი იჯარით აძლევდენ გლეხობას მიწას. ამ მხრით აგრარულ კანონს მდგომარეობა არ შეუცვლიაო.

ამის შემდეგ კამათის გაგრძელება გადაიდო მეორე დღისთვის.

ვ. ალათიშვილი.

*) გულისხმობს ფინანსთა მინისტრს ბ. გ. ჟურულს, რომელიც ეროვნულ-დემოკრატების მთავარ კომიტეტს გამოუწვევია უკან მთავრობიდან, მაგრამ გ. ჟურული ამაზე არ დათანხმებულა და კვლავ განაგრძობს სამინისტროში მუშაობას.

## მთავარი სარდლის ბრძანება

მთავრობის დადგენილების თანახმად 1895, 96, 96, 97, 98 და 99 წლებში დაბადებული სამხედრო ვალდებული პირები დაუყონებლივ უნდა იქნან ჯარში გაწვეული. ყველა გუბერნიის და მაზრის კომისარებმა უნდა მიიღონ ენერგიული ზომები, რომ გასაწვევი პირები დაუყონებლივ წარადგინონ სამხედრო ნაწილებში, სახელდობრ: 1) ქუთაისის გუბერნიაში გაწვეულები, გარდა შორაპნის მაზრისა, უნდა გაიგზავნონ სამტრედიაში პირველი დივიზიის უფროსის განკარგულებაში, რომელმაც გაწვეული პირები უნდა გაანაწილოს თავის დივიზიის ნაწილებში. 2) შორაპნის, გორის, ახალციხის და დუშეთის მაზრებში გაწვეულები უნდა გაგზავნონ სამხედრო ნაწილებში მესამე დივიზიის უფროსის ჩვენებით, რომელმაც უნდა აცნობოს მაზრის კომისარებს, თუ სად გაგზავნონ გაწვეული პირები. 3) თფილისის, ბორჩალოს, სიღნაღის, თელავის და თიანეთის მაზრებში გაწვეულები უნდა გაიგზავნონ სამხ. ნაწილებში მეორე დივიზიის უფროსის ჩვენებით, რომელმაც უნდა აცნობოს მაზრის კომისარებს, თუ სად უნდა გაიგზავნონ გაწვეული პირები. 4) ყველა ის, ვინც მსახურებს ცხენოსან ჯარში და მიმღები კომისიის მიერ დანიშნულია კავალერიაში გასაგზავნათ,—უნდა გაიგზავნოს თფილისში ცხენოსანთა ბრიგადის უფროსის განკარგულებაში, რომელიც გაანაწილებს გაწვეულებს თავის ბრიგადის ნაწილებში. 5) მაზრის კომისარებთან მათ მიერ ნაჩვენებ ადგილებში უნდა შესდგეს მიმღები კომისიები, რომელშიაც შევლენ ადგილობრივ თვითმართველობათა წარმომადგენლები, ექიმი და სამხედრო უწყების წარმომადგენლები, რომელსაც ნიშნავს სათანადო დივიზიის უფროსი. 6) შეღავათის მიცემის დროს უნდა იხელმძღვანელონ ამიერ კავკასიის მთავრობის უკანასკნელი განკარგულებით. 7) ყველა სამხედრო ნაწილებიდან ეხლავე უნდა განთავისუფლონ ყველა ჯარისკაცები, რომლებსაც შეუსრულდათ 23 წელი და 8) დანარჩენები განთავისუფლებული იქნებიან ჩემის განკარგულებით მაშინ, როცა ჯარში მოვლენ 1895—99 წლებში დაბადებულები.

საქართველოს ჯარის მთავარ-სარდალი, გენ.-მაიორი კვინიტაძე.

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

16 ივნისი.

**მოსკოვის** რადიო სადგურის ცნობა: გერმანიის სამხედრო მთავრობის სიტყვით ჩვენი ჯარების ზოგიერთი ნაწილები გადასულან დემარკაციულ ხაზზე და სროლა აუტეხიათ გერმანიის ჯარებისათვის. საგარეო საქმეთა კომისარიატმა მიუთითა გერმანიის მთავრობას გერმანიის ჯარების მიერ დემარკაციული ხაზის გადმოლახვის შესახებ. მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩვენმა ჯარებმა სასტიკად უნდა დაიცვან დემარკაციული ხაზი და არავითარ შემთხვევაში არ გადალახონ ის. მთავარი სამხედრო საბჭოს კომისარი ბოვორსკი. სამხედრო საქმეთა კომისარი ტროცკი.

**ბერლინი.** დასავლეთის ფრონტი. არრასის სამხრეთ დასავლეთით ტყვეები წამოვიყვანეთ. მტრის იერიშები ანკრასთან ჩვენ მოვიგერიეთ.

აღმოსავლეთის ფრონტი. ეიხგორნის არმია. რუსის ბანდები რიცხვით 10 ათას კაცამდე გადმოვიდენ მიუსის ყურეთი აზოვის ზღვის ჩრდილო ნაპირად. მათ აზრათ ჰქონდათ შემოტევა ტაგანროგის მიმართულებით, მაგრამ ჩვენ ისინი გავრეკეთ. ერთი ნაწილი, რომელმაც თავს ნავებითა და ტივებით უშველა დახვრეტილ იქნა.

17 ივნისი.

**პარიჟი.** სომმის ორივე ნაპირებზე გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა. ენის სამხრეთით ჩვენ რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ.

**ბერლინი.** დასავლეთის ფრონტი. მდ. ენთან გრძელდება სასტიკი ბრძოლა. დამიერის წინააღმდეგ ფრანგების იერიში მოვიგერიეთ.

**ვენა.** 16 ივლისი. გუშინ დილით ადრე პიავის ფრონტზე ბრენტის ორივე მხარეზე ჩვენი ჯარი გადავიდა შეტევაზე. ავიღეთ უხანდონე დი-პიავე. პიავის ფრონტზე წამოვიყვანეთ 10 ათასამდე ტყვე და წამოვიღეთ 50 ზარბაზანი.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტზე უმნიშვნელო სროლა სწარმოებდა.

**კავკასი.** ადგილობრივი სომეხთა ეროვნული საბჭო იტყობინება, რომ მიუხედავათ იმისა, რომ რამდენჯერმე იყო გამოცხადებული არ გამოგზავნოთ აქეთ ლტოლვილი სომხები, ვინაიდან მათ მიღებაზე ჩრდილო ქალაქები უარს ამბობენ და ეს ხალხი ცის ქვეშ ჰყრია ღვთის ანაბრათ, ამას გარდა მოსალოდნელია ექსცესები. არსაიდან დახმარება არა გვაქვს, გამოუსვლელ მდგომარეობაში იმყოფება საბჭო და ამიტომ ყოველგვარ პასუხისგებას თავიდან იშორებს. ერთად ერთი გამოსავალი გზა ასეთი მდგომარეობიდან არის ლტოლვილების თავიანთ სახლებში დაბრუნებაო.

---

სააგენტო აცხადებს, რომ სტამბოლის დელეგაციის შემადგენლობაში ირ. წერეთელი შეცდომითაა მოხსენებული, ვინაიდან ის დელეგატათ არ ყოფილა დანიშნული. ამას გარდა შეცდომით არის ნაჩვენები ე. პ. გეგეჭკორი თავმჯდომარეთ არის ა. ი. ჩხენკელი, გეგეჭკორი მისი მოადგილეაო.

## ახალი ამბები

**საქართველოს ეროვნულ საბჭომ** მთავრობის დეკლარაციის შესახებ კამათს სამი სხდომა მოანდომა. საბჭომ ნდობა გამოუცხადა მთავრობას. ამ დადგენილების წინააღმდეგ მხოლოდ ეროვნულ დემოკრატებმა მისცეს ხმა. უპარტიოებმა თავი შეიკავეს.

◆ **ბორჩალოს დელეგაცია.** ჟურნალისტებთან საუბარის დროს ერთმა ავტორიტეტულმა პირმა განაცხადა, რომ ბორჩალოს მაზრაში მოქმედი რაზმი სანაინს გასცილდა. ბორჩალოს მაზრიდან თფილისში ჩამოვიდა დელეგაცია, რომელშიაც, სხვათა შორის, ოსმალეთის აგენტები შედიან, დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია საქართველოს მთავრობას განუცხადონ, რომ მზად არიან მისი ყველა მოთხოვნილებები შეასრულონ.

◆ **შრომის მინისტრმა** შეამდგომლობა აღძრა საქართველოს მთავრობის წინაშე გამოსძებნოს რაიმე საშუალება ზოგიერთ დაწესებულებებში შტატის შემცირების და ზოგი დაწესებულების დათხოვნის გამო უმუშევრად დარჩენილ მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად. ამავე დროს არ უნდა იქნეს შეჩერებული შტატების და სახელმწიფო ხარჯების შემცირება. მთავრობამ შეიმუშავა მთელი რიგი ზომებისა, რომელთა განხორციელების შემდეგაც შეუძლებელი იქნება შემთხვევითი სალიკვიდაციო ხარჯების გაღება, ამავე დროს კი დაცული იქნება უადგილოდ დარჩენილთა ინტერესები. ეს კანონპროექტი ამ დღეებში მთავრობის მიერ იქნება დამტკიცებული და გამოქვეყნებული.

◆ **მთავრობის სხდომაზე** 15 ივნისს დამტკიცდა მთავრობის საქმეთა სამმართველოს შტატი. დაადგინეს მინისტრებს თვიურად მიეცეთ: 1500 მან. მინისტრის ამხანაგებს 1350 და ამას გარდა საგანგებოდ სახარჯო წარმომადგენლებისათვის. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს—15,000 წელიწადში, ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს 15,000 მ. სამხედრო და საგარეო მინისტრებს წელიწადში—10,000, გზათა მიმოსვლის მინისტრს ავანსად მიეცემა 50,000 მ. რკინის გზის ინვენტარის აღსადგენად, ხოლო იმ პირობით, რომ 1 კვირაში წარდგენილ იქნება ხარჯთ აღრიცხვა. გზათა მინისტრს უფლება მიეცა განსაკუთრებულ შემთხვევებში ხაზინის კონტრ-აგენტების საკონტრაქტო ჯამი გაადიდოს თუ სამინისტროს საბჭოს მიერ ფინანსთა სამინისტროს და სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენლების შესაფერი დადგენილება იქნება გამოტანილი.

საფოსტო სადგურების შესანახად თფილისის გუბერნიის კომისარს უნდა მიეცეს 1,637,788 მ. და ქუთაისის გუბერნ. კომისარს 240,000 მ. გზათა მიმოსვლის სამინისტროს დაევალა დაიჭიროს ავტომობილებით ფოსტის გადაზიდვის მოწყობა

ლიტვის, პოლონეთის და უკრაინის მოქალაქეთა დაკმაყოფილების საკითხი საგარეო სამინისტროს გადაეცა. უკრაინის კომისარიატის რადას 12,000 უნდა მიეცეს. სასურსათო მინისტრის განკარგულებით ჩრდილოეთ კავკასიაში პურის შესაძენად 4 მილიონი მან. გადაიდო, ხოლო გურიაში თამბაქოს შესაძენად 500,000 მან. სასურსათო მაღაზიას № 2 60,000 მ. მიეცა. დადგენილ იქნა გადიდებულ ჯამაგირების მიღება დემობილიზაციის გამო. საბოლოვოდ ანგარიშის მიცემის დროს შეუძლიანთ ისარგებლონ მხოლოდ იმათ, ვინც მსახურებდენ არა ნაკლებ ერთი წლისა.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია თფილისის კომიტეტის ს.-დ. პარტიის სხდომა.

## ბრძოლა ბორჩალოს მაზრაში

**გერმანიის ცნობა № 1.**

როდესაც 12 მაისს გერმანელ ქართველთა ჯარები დაიძრენ სად. სადახლოდან სამხრეთით, ამ მხარის დასაწყნარებლათ, თათრებმა მიიღეს რა შემცდარი ცნობები გერმანელი და ქართველი ჯარების შესახებ, შეხვდენ მათ სროლით. თათრების სროლაზე ჩვენ სროლითვე ვუპასუხეთ და სანდარის სამხრეთით ორი კილომეტრით წინ წავიწიეთ. 13 ივნისს დილით გერმანელ-ქართველთა ჯარები ერთად გადავიდენ შეტევაზე თათრების წინააღმდეგ. თათრებმა თავიანთ საზარალოთ წინააღმდეგობა გაუწიეს ჩვენ ჯარებს, რომ მშვიდობიანათ წავწეულიყავით წინ. ჩვენმა ჯარებმა აქ უკუ აქციეს თათრები. თათრები ცდილობდენ დაეცვათ მდ. ხრამის ხაზი. ქართველმა ჯარებმა ბრძოლით დაიკავეს მდ. ხრამზე გადასასვლელი გზა კოლაკილისთან. გერმანელმა ჯარებმა კი დაიკავეს რკ. გზის ხიდთან ბეგლიარი და სად. აშაგასერალი. ქართვ. და გერმანელმა ჯარებმა იერიშები შეთანხმებით და ენერგიულათ ჩაატარეს. განსაკუთრებულის სიმამაცით ისახელა თავი ამ ბრძოლაში ქართველების არტილერიამ. თათრებმა დაჰკარგეს 40 მდე კაცი მკვდარი და ბევრი დაჭრილნი დასტოვეს. ჩვენი ზარალი გაცილებით ნაკლებია. არუხლოზე წასვლის დროს თათრებს არ გაუწევიათ წინააღმდეგობა ჩვენი ჯარებისთვის—მათ პირველსავე ჩვენს მოთხოვნაზე იარაღი ჩაგვაბარეს და ამიტომ არავითარი ზარალი არ მიგვიყენებია მათთვის. სადახლოდან კარაკლისში გაქცეულ ხალხს უპასუხისმგებლო პირები აგიტაციას უწევდენ და ამხედრებდენ ჩვენი ჯარების წინააღმდეგ. ჩვენს ჯარს მშვიდობიანი განზრახვები ჰქონდა, თათრები კი შეიარაღებულ წინააღმდეგობას გვიწევდენ. ამ ჟამად თათრებს ამშვიდებენ გონიერი მცხოვრებნი და ურჩევენ თავიდან აიცილონ უნაყოფო სისხლის ღვრა. გერმანელების ჯარი იმიტომაა მოსული, რომ დაიცვას ავაზაკებისაგან ყველა ერები, რომელთაც სურს მშვიდობიანათ ცხოვრება. სანამ მცხოვრებნი მშვიდათ და წყნარათ იცხოვრებენ, მათ არავითარი საფრთხე არ მოელით. გერმანელი ჯარები არავის ნებას არ მისცემენ არც დაწვა-განადგურების, არც მცხოვრებლებზე რაიმე ძალადობის ხმარების. ის კი, ვინც არ დაემორჩილება ჩვენს მოთხოვნას და არ ჩაგვაბარებს იარაღს პირველსავე ჩვენს მოთხოვნილებაზე, დაისჯება გერმანიის სამხედრო დროის კანონების თანახმად. პირველი მეგობრული შეტევა დ პირველი გამარჯვება გერმანელ-ქართველ ჯარებისა, რაიც გამოწვეული იყო შეცდომაში შეყვანილი პირების მიერ, მომასწავებელია იმისი, რომ ეს სარგებლობას მოუტანს ქვეყანას და გამოიყვანს მას დამშვიდებისა და წესრიგის გზაზე.

---

**ვლ. გოგუაძის მოხსენება.**

ჯავშნიან მატარებლის უფროსის და რკინის გზის ლიანდაგის კომენდანტის ვ. გოგუაძის მოხსენებით, რომელიც მან სამხედრო სამინისტროს გამოუგზავნა საქმე ასე ყოფილა: „13 ივნისს, ღამის 12 საათზე სანდარის რაზმის უფროსის პოლკოვნიკ ჩხეიძისაგან ბრძანება მივიღე, რომ ჯავშნიანი მატარებლით წავსულიყავი 14 ივნის დილის ოთხ საათზე და 30 წუთზე სადახლოსკენ, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. დილის 8 საათზე სადახლოში შევედით. აქ ბრძოლა არ ყოფილა. ხალხი პურ-მარილით შეგვეგება, რომელთაც აღიარეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა. 9 საათზე ჯავშნიანი დაიძრა სანაინისაკენ. გზაში სადგურებზე ვაპატიმრებდით ოსმალთა დარაჯებს აფიცრებითურთ. ალავერდთან ორი ვერსით ვიყავით მისული, რომ კინაღამ ჩვენი მატარებლები არ დაეტაკა ოსმალთა ჯარების ეშელონებს. როგორც იქნა, ერთ და იმავე დროს გავაჩერეთ მატარებლები. ოსმალთა ეშელონმა თავს უშველა და სიჩქარით დაიხია უკან სანაინისაკენ. ჯავშნიანი მათ კვალ და კვალ

დაედევნა. სანაინში რომ მივედით, დიდი არევ-დარევა იყო ოსმალთა ჯარში. აქ ჩვენ ტყვეთ ჩაგვივარდა 300 ასკერი აფიცრებითურთ. წამოვიყვანეთ 300 ცხენი, ჯოგი და სამხედრო სურსათი. ამის შემდეგ ჯავშნიანი მატარებლით კვლავ დავედევნეთ ოსმალთა იმ ეშელონს, რომელიც სანაინიდან გაიქცა. სანაინიდან 5 ვერსის მოშორებით დავეწიეთ ამ ეშელონს. მათ ჩვენ სროლა დაგვიწყეს. ჩვენ რკ. გზა დავზოგეთ და ამიტომ ორჯერ ვესროლეთ ტყვიის მფრქვევლებიდან. ამ ეშელონიდანაც ზოგიერთები ტყვეთ წამოვიყვანეთ. ტყვეების საერთო რიცხვი აფიცრებითურთ 400 კაცამდეა. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია სომხები ალტაცებით შეგვხვდენ. ლტოლვილნი ბრუნდებიან. გერმანელი ჯარები ორი სამი სადგურის მოშორებით მიჰყვებოდა ჩვენს ჯარს. დამოკიდებულება ჩვენსა და გერმანელ ჯარებს შორის საუცხოვოა, ამას გარდა სადახლოში დავაკავეთ ორმოცდა-თვრამეტი ფურგონი სურსათი, რომელიც განჯისკენ მიდიოდა. წინ მივიწევთ. ტელეგრაფის ჩვენმა სამხედრო კომისარმა კვინიკაძემ დაიჭირა ოსმალთა ორი საყურადღებო დეპეშა. რკინის გზაზე მოსამსახურენი არ არიან საკმაოთ. არც ტელეგრაფი მუშაობს. ამიტომ მატარებლები შეუთანხმებლათ დადიან".

—

მოგვყავს ვ. გოგვაძის კერძო წერილიდან ერთი ადგილი, რომელიც, ჩვენის ფიქრით, არ არ ს ინტერესს მოკლებული:

„ჩემი ჯავშნოსნით თათრის ჯარს სულ „ბუსდავალა“ ვაძახე. ხუთასამდე ტყვეთ ჩავიგდეთ ხელში და 300 ცხენი და მრავალი სამხედრო სურსათი. ალავერდში დიდი ზარბაზნები წავართვით თავის წყობილებით. უკვე ვაგონებზე დავტვირთე და მალე თფილისში ჩამოვიტან. ტყვეებსაც ჩამოვიყვანთ. ჩვენ საზღვრებზე მისვლას ცოტა გვაკლია. გერმანიის მაიორიდან და ჩვენი გენერლებისაგან მადლობა მივიღეთ გამარჯვებისთვის. სომხები დაბრუნდნენ და გამარჯვებას გვილოცავენ. დამნიშნეს რკინის გზის კომენდანტათ".

## ბრძოლა ბორჩალოში

9 ივნისს თფილისის წითელი გვარდია ს. ტაბახმელიდან, სადაც ის იყო დაბანაკებული და იცავდა თფილისს თათართა ბანდების მოსალოდნელ თავდასხმისაგან ამხ. ვ. ჯუღელისა და პოლკ. კონიევის მეთაურობით დაიძრა სად. სადახლოსაკენ.

რაზმს თან ახლდა მცხეთისა და გორის რაიონების წითელი გვარდია და ს.-ფედერალისტების რაზმი. რაზმის მიზანი იყო რკინის გზაზე მოძრაობის აღდგენა და ბორჩალოს მაზრაში თათართა ბრბოების ალაგმვა. იმავე დღეს რაზმი ჩავიდა ს. კოდაში და დაბანაკდა ღამის გასათევად. მეორე დღეს დილა ადრიან გავემგზავრეთ სად. სანდარისაკენ. გავიარეთ ს. მარაბდა და მივადექით მდ. ალგეთს. აქ სოფლელებმა ხიდი გაგვიკეთეს და გადავედით მდინარეზე, საიდანაც დაახლოვებით ოთხი საათის მგზავრობის შემდეგ სადგ. სანდარის ახლოს დავიკავეთ ერთი მაღლობი და დავბანაკდით. ჩვენ მარჯვნივ მოდიოდა ცხენოსანთა რაზმი და ს. ფედერალისტების როტა. ისინი მიადგენ გორას, სადაც თათრებს სანგრები ქონდათ გაკეთებული. თათრებმა რაზმს სროლა აუტეხეს, ჩვენმა რაზმმა სროლითვე გასცა პასუხი და ის იყო, რომ მტერი სანგრებიდან უნდა გაქცეულიყო, ამ დროს პოლკ. კონიევმა მიიღო ცნობა ქარ. ჯ. უფროს პოლ. ჩხეიძისაგან, რომ მდ. ალგეთი ითვლება საზღვრათ საქართველოს რესპუბლიკისა და ადერბეიჯანს შორის და რაზმს ნება არ აქვს ალგეთს გაღმა საომარი მოქმედება აწარმოოს. თუ ვისგან მიიღო პოლკ. ჩხეიძემ ეს ცნობა, ამის შესახებ სისწორით რაიმეს თქმა არ შემიძლია, მხოლოდ კერძო პირები ამბობდენ, რომ ადერბეიჯანის მხრით მასთან მოვიდა დელეგაცია ოსმალეთის აფიცრის მეთაურობით და გადასცა ეს ცნობები. პოლკოვნიკი კონიევი იძულებული გახდა ბრძოლა შეეწყვიტა. და რაზმს გამოუცხადა დაეტოვებინა დაჭერილი პოზიციები და მდინარე ალგეთს გამოღმა დაბანაკებულიყო. ამ მოულოდნელმა ცნობამ რაზმში დიდი მწუხარება და ხელმძღვანელებისადმი უკმაყოფილებაც კი გამოიწვია. იმავე დღეს რაზმმა უკან დაიხია და მდინარის გამოღმა დაბანაკდა.

მეორე დღეს, 11 ივნისს, რაზმს გამოუცხადეს, რომ კვლავ უნდა გავიდეთ მდინარეზე და ჩვენი მოქმედების გეგმა განვაგრძოთ. იმავ საღამოს რაზმი მდინარეზე გადავიდა და სადგ. სანდარის ახლო გორაკის ძირში დაბანაკდა, 12 ივნისს დილა ადრიან რაზმი ორ ნაწილათ გაიყო. პირველი როტა თფილისის გვარდიელებისა თავისი არტილერიით და ტყვის მფრქვევლებით დაიძრა რკინის გზის მარჯვნივ, ხოლო მეორე როტა მოდიოდა რკინის გზით. სადგურ სანდარასთან რაზმს შეუერთდა ქართული ჯარის ნაწილები და გერმანელთა ორი ეშელონი. მათ წინ მოუძღოდა ჯავშნიანი მატარებელი ვ. გოგვაძის მეთაურობით. ჩვენმა პირველმა როტამ გაიარა თათართა პირველი სოფელი, სადაც მცხოვრებლები თეთრი ბაირაღებით შეგხვდენ. სამი საათის სიარულის შემდეგ ჩვენ მივადექით მდინარე ხრამს. ამ მდინარის გაღმით გამაგრებული იყო თათრები. ჩვენზე ცოტა წინათ ამავე მდინარეზე რკინის გზის ხიდს მიადგა ჯავშნოსანი და მეორე რაზმი და შუადღის ორ საათზე ზარბაზნებმაც დაიწყეს მოქმედება. ჩვენ დავიჭირეთ მდინარის გამოღმა ნაპირი და გავიკეთეთ სახელდახელო სანგრები. ამ დროს მდინარის გაღმა სოფელში დასაზვერათ წავიდენ ჩვენი მზვერავები ამხ. ვ შარაშიძის მეთაურობით: როდესაც მზვერავები უკან ბრუნდებოდენ, სახლიდან გამოსროლილ ტყვიის მიერ მოკლულ იქნა ამხ. შარაშიძე. ჩვენ მისი მოკვლის ამბავი სანგრებში გავიგეთ, რამაც რაზმი ძალზე ააღელვა და ბრძოლის ხალისი გაუასკეცა. პოზიციების დაჭერის შემდეგ რაზმს გამოუცხადეს დაეწყო საომარი მოქმედება მას შემდეგ, როდესაც თათრები სროლას აგვიტეხდენ. ცოტა ხნის შემდეგ მართლაც მოისმა თოფების სროლა და ჩვენმა რაზმმაც სროლითვე გასცა პასუხი. ამ დროს ზარბაზნებმაც და ტყვიისმფრქვეველებმა დაიწყეს მოქმედება და მდინარის გაღმა მდებარე თათრების ორი სოფელი ჩვენმა არტილერიამ გაანადგურა. ბრძოლამ საღამომდე გასტანა. საღამოს სროლა შესწყდა და ორივე მხრით სიჩუმე ჩამოვარდა. დილამდი თითქმის წესიერება არ დარღვეულა.

დილა ადრიან, 13 ივნისს, გადაწყდა შეტევაზე უნდა გადავსულიყავით და მდინარის გაღმა მდებარე სოფელი უნდა დაგვეჭირა. ჩვენი რაზმი ცხენოსან ჯარის ნაწილთან ერთად სოფლის პირდაპირ მდინარეს მიადგა. აქ თათრებმა ძლიერი სროლა აგვიტეხეს, მაგრამ ჩვენი არტილერია და ტყვიისმფრქვეველების სწრაფი მოქმედებით მტერს საშუალება მოესპო დიდი წინააღმდეგობა გაეწია. პირველათ მდინარეში გავიდა ცხენოსანთა რაზმი, მას მიყვა ჩვენი როტა. მდინარე საკმაოდ დიდი აღმოჩნდა, გამსვლელ კაცს წელამდე ფარავდა წყალი, მაგრამ ყველანი ყოჩაღათ გავიდენ. მდინარეში გასვლისთანავე რაზმმა სოფელი დაიჭირა და გადასწვა. სოფელში მცხოვრებლები არ აღმოჩნდნენ. აქედან რაზმი გაემართა მახლობელ მაღლობების დასაკავებლათ. თათრები მთებში შეხიზნულიყვნენ და იქიდან გვესროდენ. როდესაც მდინარეზე გადავედით ჩვენთან მოვიდა შულავერელების დელეგაცია. მათ სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როდესაც გაიგეს ჩვენი იქ მისვლის ამბავი. რამოდენიმე წუთის განმავლობაში ჩვენ შემოგვიერთდა რამოდენიმე ათეული შეიარაღებული სომეხი და დახმარება გაგვიწია ბრძოლაში. ამავე დროს მთელ რაზმს მოგვაწოდეს სადილი. ისინი მთელი ორი თვის განმავლობაში თათრების მიერ ალყა შემორტყმული ყოფილიყვენ და საშუალება არ ქონდათ სოფლიდან სადმე წასულიყვენ. საკუთარ ბაღებში მუშაობასაც კი უკრძალავდენ თურმე თათრები მათ. ამავე დროს სხვადასხვა ხარკებს ახდევინებდენ და მთელი მცხოვრებნი ტერორის ქვეშ ყავდათ დაყენებული.

შულავერელების სიტყვით აქ ამ რამდენიმე დღის წინათ შესულა ოსმალეთის ორასი ასკერი ერთი ფაშით, რომელსაც ხმა გაუვრცელებია: თფილისი ჩვენს ხელშია და მალე მთელი საქართველოც ჩვენი იქნებაო. მაგრამ როდესაც გაუგონიათ მდ. ხრამთან ჩვენი ზარბაზნების გრიალი, მაშინვე გაქცეულან. სომხებმა გვითხრეს: ჩვენ არ ვიცოდით, თუ საქართველოს მთავრობას ამოდენა ძალა ჰქონდა, რომ თათრების დამარცხებას შესძლებდენ, თორემ იმ ორას ასკერს დავიჭერდით და დაგახვედრებდითო, ამასთანავე გადმოგვცეს: როდესაც თქვენი რაზმი ზარბაზნებს უშენდა თათრების პოზიციებს, აუარებელი თათრები გაიქცენ შულავერის გზით მთებში. იყვნენ თურმე ბევრი დაჭრილებიც, მათგან შვიდს შულავერისთვის შეეფარებინა თავი.

ჩვენს შულავერში შესვლის დროს მეორე რაზმმაც გერმანელებთან ერთად გადმოლახა რკინის გზის ხიდი მდ. ხრამზე და სადგ. აშალსარაისაკენ დაიძრა. ხიდთან დაიწვა თათრების ერთი სოფელი. ჩვენი რაზმი იმავე დღეს შულავერის გზით აშალსარაიაში ჩავიდა და შეუერთდა რკინის გზაზე მომქედ რაზმს. რაზმმა აქ ღამე გაითია და დილით შეერთებული რაზმი მატარებლით გაემგზავრა სადახლოში, სადაც ჯავშნიანი მატარებელი დილა ადრე ჩავიდა უბრძოლველად.

აშალსარაიაში მოვიდა თათრების დელეგაცია და ითხოვა, რომ ჩვენი რაზმი ბრძოლით არ წასულიყო სადახლოსაკენ და ისინი მზათ იყვენ საომარი მოქმედება შეეწყვიტათ.

მდინარე ხრამზე თათრები საბოლოოდ დამარცხდენ. ეს მდინარე მათთვის ძლიერ ხელსაყრელი პოზიცია იყო და მის დაკარგვის შემდეგ მათ ბრძოლის წარმოება აღარ შეეძლოთ. და მართლაც, 14 ივნისს რაზმი უბრძოლველათ შევიდა სადახლოში. აქ რაზმს ხელში ჩაუვარდა 150 ფურგონი სანოვაგე ოსმალეთის მთავრობის მიერ ყაზახში გაგზავნილი. ფურგუნებს თან ახლდა ორმოცდაათამდე ასკერი ერთი აფიცრით, რომელიც დატყვევებულ იქნენ. ფურგუნის პატრონნი იყვნენ ვარანცოვკაში მცხოვრები რუსები, რომლებიც ძალათ გაეწვია სანოვაგის გადასაზიდათ ოსმალების აფიცერს. მათივე სიტყვით ხუთასი ფურგუნის გადაზიდვა უკვე მოუსწრია ოსმალეთს ჩვენს ჩასვლამდე. ასკერებს ვორონცოვკაში მცხოვრები რუსები სულ გაუძარცვავთ ტანისამოსი დაუხდიათ და ძონძები დაურიგებიათ სამაგიეროთ. იმათ თურმე ამუშავებდენ და დღეში ნახევარ გირვანქა ფქვილს აძლევდენ სარჩოთ. რუსები ჩვენი მისვლით დიდათ გახარებული იყვნენ და ამბობდენ: გვეღირსა ოსმალეთის ურდოებისაგან განთავისუფლებაო. როდესაც ფურგუნებს ტვირთავდენ, მათ ზარბაზნების გრიალი შემოესმათ თურმე, თანაც ვიღაც სომეხს უთქვამს: ქართველები თათრებს ეომებიანო და მათაც განზრახ მოუგვიანებიათ გამგზავრება დანიშნულ ალაგას და ამიტომ მოუსწრა ჩვენმა რაზმმა.

ჩვენი მისვლით დიდათ გახარებული იყვენ აგრეთვე ნემეცი კოლონისტები, რომლებიც თათრებს ტერორის ქვეშ დაეყენებიათ. თათრის ბრბოების მიერ ყველანი შევიწროებული იყვენ და ეხლა თავისუფლათ ამოისუნთქე.

სადგ სადახლოდან ქართული ჯარის ნაწილები გერმანელებთან ერთად კარაკლისისაკენ გაემგზავრენ რკინის გზის მოძრაობის აღსადგენად. ჩვენი რაზმი კი 15 ივნისს დაბრუნდა თფილისში.

რაზმმა პირნათლად შეასრულა დაკისრებული მოვალეობა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ ბრძოლამ ნდობა განუმტკიცა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, საქართველოში მცხოვრებ სხვა ერთა თვალში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს მთავრობა შესძლებს საქართველოში ანარქიის ჩაქრობას, რაც საშუალებას მისცემს აქ მცხოვრებ ყველა ერის დემოკრატიას თანასწორი უფლებებით ისარგებლოს რევოლუციით მოპოვებულ თავისუფლებით. წითელი გვარდიაც მოვალეა როგორც დღემდე, ისე შემდეგშიაც დაეხმაროს მთავრობას ამ მძიმე მოვალეობის შესრულებაში.

ხ. ელიაძე.

## მოვალეობის მსხვერპლნი

სამი კუბო.

(შთაბეჭდილებანი).

თავისუფლებისთვის თავდადებულნი — შარაშიძე, ანდღულაძე, დანელია...

ეს სამი ძვირფასი ცხედარი გაატარეს შაბათს საღამოთი თფილისის ქუჩებით სადგურისაკენ.

მათი გაცილება, მათთვის ღირსეული პატივისცემა იმავე დროს იყო დიდებული დემონსტრაცია იმ ძალებისა, რომელი ძალებიც ბრძოლაში დაღუპული ამხანაგების მისწრაფებებს ემსახურებიან.

აქ იყო წითელი გვარდია—ქვეითი, ცხენოსანი, არტილერია...

სასახლესთან ნოე ჟორდანიამ ილაპარაკა. შორით ვიდექი. ორატორს ვხედავდი, მაგრამ მისი სიტყვები არ მესმოდა. განა ნოეს სუსტი ხმა გადაწვდებოდა პროცესიაში მონაწილე ზღვა ხალხ?

მაგრამ განა ყველასათვის ცხადი არ უნდა იყოს, თუ რას იტყოდა ნოე, რას განიცდიდა ის გმირთა კუბოების წინაშე?

რა მდგომარეობაშია მაგალითად გული, როდესაც ორგანიზმის რომელიმე ნერვი დაზიანებულია ან გაწყვეტილია და განსაწმენდი სისხლის მიღება და გაწმენდილის ორგანიზმისთვის მოწოდება შეფერხებულია?

დღიდან რევოლუციის დაწყებისა ამ რევოლუციის ორგანიზმის ნერვები იყვენ ეს შარაშიძეები, ანდღულაძეები, დანელიები...

და რა მდგომარეობაში იქნებოდა რევოლუციის ორგანიზმის გული, როცა მის ნერვებს გადაჭრილს ხედავდა?

ვალიკო ჯუღელს მეტის მეტი დაღვრემილობისაგან თავი ვერ შეეკავებია და ტირილით ჩასძახოდა: ვინ გაუწევს ვალიკო შარაშიძის მაგიერობას ჩვენს წითელ გვარდიასო.

ირაკლი წერეთელმა სთქვა: ყველასაგან ღვთის ანაბარათ მიგდებული ჩვენი ხალხი განსაცდელისაგან იხსნა წითელმა გვარდიამ. დაწერილი ქაღალდები, რეზოლუციები და სხ. მოისპობიან, ეს ძალა კი, რეალური ძალა, რომელიც ხალხის გულიდანაა აღმოხეთქილი, დარჩება, რომელიც უზრუნველ ყოფს ჩვენი ერის არსებობას როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრისაგანო...

კარლო ჩხეიძე ამბობდა: მე შევხებივ განსვენებულთ არა როგორც მებრძოლთ არა როგორც რევოლუციონერებს, არამედ—როგორც ჩვენს მასწავლებელთ. ამათ გვასწავლეს, თუ როგორ უნდა თავის დადება სამშობლოსა და თავისუფლებისათვის და როცა ზოგიერთებს მხოლოდ ცარიელი სიტყვებით თავი მოაქვთ პატრიოტებათ, ბრძოლაში დაღუპული ამხანაგების შარაშიძის, ანდღულაძის და დანელიას საქმენი მოიგონონო...

დასკვნა ასეთი დაგვრჩა: დაღუპულ მებრძოლთა მოადგილენი მაინც აღმოჩნდებიან.

ისინი ჩვენი მასწავლებლები იყვენ!

დაწერილი ქაღალდი შეიძლება დაიკარგოს, მაგრამ რეალური ძალა, ძალა საიმედო ჩვენი ცხოვრების მომწესრიგებელი—თავ სუფლების, სამშობლოს დამცველი ჩვენშივე დარჩება.

გ. მ.

—

სამტრედია (დეპეშა). დანელიას ცხედარი აბაშამდე გავაცილეთ. იქ გაიმართა მიტინგი. თფილისელი ამხანაგების სახელით ილაპარაკეს. ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა წითელი გვარდიის მოქმედებამ. ხალხს გააცნეს აგრეთვე გარდაცვალებულის ბიოგრაფია. აქვე შეკრებილ იქნა 300 მანეთი დასაკრძალავ ხარჯებს დასაფარავად. დაკრძალვა მოხდება სოფ. ლეხაინდრავოში 18 ივნისს, რასაც აუწყებს საზოგადოებას ადგილობრივი კომიტეტი.

## მუშათა წერილები

მუშათა კლასი და კულტურა.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ რამოდენიმე დღეებში დაამსხვრია მტარვალობის ძალა-უფლება. მუშათა აზვირთებულმა ტალღამ დაანგრია-წალეკა ძველი წესწყობილება და დაუდვა დასაწყისი ახალ თავისუფალ ცხოვრებას.

აქედან დგება მომენტი ახალის შექმნისა. აი ამ შემოქმედებითი მუშაობისათვის საჭიროა ხალხი, არა მარტო ისეთები, რომლებსაც შეუძლია მხოლოდ შეზიზღება ძველი შენობისა, არამედ მცოდნე ძალა, შემძლებელი ძველის ნანგრევებზე ახალის აშენების და შექმნისა. და აი, როდესაც ჩვენ შევუდექით ახალი ცხოვრების შენებას, სამწუხაროთ, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ცოტა ყოფილა დაგროვებული კულტურული ძალა მუშათა კლასში,და ამავე დროს როგორ ბევრი არის საჭირო მცოდნე, გამოცდილი ხალხი მუშათა საქმის გაკეთებისათვის. და გაღმოძახილის, მოთხოვნის ხმა, —მოგვეცით, გამოგვიგზავნეთ მცოდნე და გამოცდილი ხალხი,—მოდის პროვინციებიდან ცენტრში და სამწუხაროთ უმეტესათ არ კმაყოფილდებოდა ცენტრის მიერ კულტურული ძალების ნაკლებობის გამო, და იქ კი, პროვინციებში, თავის ანაბარათ მიტოვებული მომუშავეები ხშირათ მრავალ გადაუჭრელ კითხვებს ვერ სჭრიან ისე სისწორით, როგორც ამას მოითხოვს დრო და გარემოება. ცენტრში მოყრილი ძალაც იყლაპება, იფარება ძალების მოურჩენელათ იმ სწრაფი, ჩქარი ცხოვრების მსვლელობაში, როდესაც თვითეული დღე უდრის თვის წყნარ მუშაობას ნორმალურ პირობებში. ასეთი იყო და არის როგორც რუსეთის, ისე ჩვენი ცხოვრების სურათი ამ მეორე რევოლიუციაში,— სიღარიბე კულტურული ძალებისა ყველა ჯგუფებში და მით უმეტეს, მუშათა კლასში.

მუშათა კლასში ჯერ კიდევ საკმაოთ არც წინეთ და არც ეხლა აქვთ კლასიური შეგნება, თუ ცა მატყუარებს, დემაგოგებს უნდოდათ და ეხლაც უნდათ დაგვარწმუნონ ჩვენ რომ მუშები განვითარდენ, გაიზარდენ უკვე თითქმის იმ ზომამდისაც, რომ სპეციალურათ კანტროლის გაწევაც კი შეუძლიათ როგორც წარმოებაზე, ისე ბანკებზე და ფინანსებზე. აი ამ არა საკმაო, ერთობ სუსტ მუშათა კლასიურ შეგნებაზე ჩვენ შევჩერდებით ამ წერილში.

უპირველეს ყოვლისა თითქმის მუშების ყოველგვარ ეკონომიურ მოთხოვნილებაში სჭარბობს ინტერესი ჯგუფური საერთო მუშათა ინტერესებზე: კვალიფიციური მუშები თავიდან ბოლომდე ცუდათ უწევენ ანგარიშს შავი მუშების ინტერესებს, შავი მუშებიც ხშირათ ასეთივე პასუხს აძლევენ მათ. სამუშაო ფასების მომატების დროს ცდილობენ გვერდი აუარონ მომუშავე ქალებს, ან და ყოველ შემთხვევაში, დედაკაცებს ხვდებათ ერთობ მცირე პროცენტები მომატებისა. როდესაც შავი მუშების პროცენტების მომატება მაღალია, ვიდრე მომატება პროცენტებით კვალიფიციური მუშებისა, მაშინ ეს უკანასკნელნი იწყებენ მითქმა-მოთქმას, გოდებას იმაზე, რომ იმათი შრომა უნდა ფასდებოდეს უფრო მეტათ, როგორც ეს იყო ძველი რეჟიმის დროს. ასეთი მუშათა შორის შეუგნებლობით შექმნილ მდგომარეობით იბადება შინაგანი ანტაგონიზმი ფაბრიკა-ქარხნებში მომუშავეთა შორის. თუ ზემოაღნიშნული აზრის შესახებ ვინმე მოითხოვს ჩვენგან მაგალითს და დამტკიცებას, ჩვენ იმათთვის ყოველ დროს შეგვეძლო მოგვეყვანა მრავალი მაგალითები. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მკითხველი მუშები დაფიქრდებიან ჩვენ მიერ ნათქვამ სიტყვებზე და იტყვიან: ეს მართალია, ამის შესახებ არაფერი ითქმის წინააღმდეგიო, მაგრამ უმთავრესი ტრაგედია მუშათა მდგომარეობაში არის დაცემა შრომის ნაყოფიერებისა. თუ ამისათვისაც მოითხოვენ დამამტკიცებელ ფაქტებს, ჩვენ შეგვიძლია აუარებელი ფაქტები, საბუთები, მაგალითები მოვიყვანოთ, რომ ეს შრომის ნაყოფიერების დაცემა გადიშალოს თქვენს თვალის წინ მთელი თავისი საშინელებით. ეს სამწუხარო ფაქტი დღეს ცნობილია, როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც ყველა მოწინავე მუშებისათვის.

და განა აქ, ამ სამწუხარო ფაქტებში არ მოსჩანს ერთობ სუსტი საფეხური მუშათა კლასიური შეგნებისა? ნამდვილ კლასიურათ შეგნებულმა მუშამ უნდა გამოიანგარიშოს, ასწონ დასწონოს მთელი ის რთული მდგომარეობა, როგორიც არის დღევანდელი რევოლიუციონური მომენტი და გამონახოს შესაფერისი გზა. კლასიურათ შეგნებული მუშა უნდა ისწრაფოდეს ყველა დაბრკოლებები, რომელსაც მიყავს მუშათა კლასი ძალების დასუსტებისაკენ თავიდან მოიშოროს; და განა დაცემა შრომის ნაყოფიერებისა და ამით წარმოების შეფერხება, რომელსაც ჩვენ მივყევართ სწრაფის ნაბიჯით საშინელ კატასტროფისაკენ, არ მოიტანს მუშათა კლასის დამარცხებას?

რა თქმა უნდა, კი, და ამის ნიშნები რუსეთში უკვე არის. მერე ასეთ მოსალოდნელ საშიშროების თავიდან ასაცილებლად ჩვენი მუშები იღებენ რაიმე ზომებს? სამწუხაროთ არა, და ამის დასამტკიცებელი საბუთები ხელთ გვაქვს. ხალხს, სახელმწიფოს სჭირია მრავალი სხვა და სხვა საგნები, ნივთები, სანოვაგე, თავისუფლების განსამტკიცებლად წიგნები, გაზეთები, ჟურნალები, და ასეთ დროს შრომის ნაყოფიერება ეცემა უკანასკნელ საფეხურამდე. აი მაგალითად: შრომის ნაყოფიერება სტამბაში მომუშავეებისა დაეცა ორმოც ორმოცდაათი პროცენტით. ქვეყანა საჭიროებს სიმინდს, სხვა და სხვა სანოვაგეებს, საქონელს და რომ ეს გადაზიდონ საჭიროა ვაგონები, ორთქმავალი, საუბედუროთ ჩვენდა, თფილისის უმთავრეს სახელოსნოებში ვაგონების და ორთქმავალის კეთება დაეცა ძლიერ. თუ წინათ რევოლიუციამდის კეთდებოდა თვეში 1800 მუშების მიერ 10—11 ორთქმავალი და დაახლოებით 200 ვაგონი, ეხლა კი 3800 მუშების მიერ კეთდება ბევრათ ნაკლები ამაზე. ასეთი მაგალითები შეიძლება მრავალი მოვიყვანოთ და მერე რას ამტკიცებს ყველა ეს? იმას, რომ მუშებს არ აქვთ შეგნება თავის კლასიური ინტერესების, არ აქვთ წარმოდგენა იმისა, რომ წარმოების დაცემით ხალხი მოკლებულია შეიძინოს ეს თუ ის ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმოები, და გადიტანონ ქალაქიდან სოფელში და ეს გარემოება სოფლის ხალხს იძულებულს ხდის მან თავი არ შეიწუხოს ქალაქში რომ სხვა და სხვა სანოვაგეები პური, სიმინდი, და სხვ. შემოეტანონ, რადგან ამის ნაცვლად მას ჰსურს არა მარტო ქაღალდის ფული მიიღოს, არამედ მისთვის საჭიროა საქონელიც შეიძინოს, და როდესაც ეს არ მოიპოვება ბაზარზე იგიც შეჩერებულია, არ გამოაქვს ქალაქის მცხოვრებ ხალხისათვის საჭირო სანოვაგე პური და სხვ. და ეს ასე ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ინტერესი მუშათა კლასისა თვით მუშების მიერ არ არის შეთვისებული, შეგნებული, როგორც კლასიური, და რომ ისინი სიზარმაცის ინსტიქტით არიან გაჟღენთილი, რის გამო მათში ჯერ კიდევ არ არსებობს წარმოდგენა იმ კითხვისა, რომელიც სდგას მუშათა კლასის წინაშე.

ჩვენში ერთობ ბევრს სრულიად გულუბრყვილოდ აქვთ წარმოდგენილი განვითარების მსვლელობა მუშათა შეგნებაში. თუ დემაგოგები ისწრაფიან გამოიყენონ სტიქიური ძალა მათი საკუთარი ვიწრო ფრაქციული მიზნებისათვის, სამაგიეროთ გულუბრყვილო ხალხს ტყუილა უბრალოდ არ ესმის, რა არის მუშათა კლასიური შეგნება. ასეთ ხალხს სრულიად არ აქვთ წარმოდგენა იმისი, რომ ნამდვილი კლასიური შეგნება სრულიადაც არ ეძლევა მუშათა კლასს ერთბაშათ, არამედ დიდ ფასათ დამჯდარ გამარჯვებით და კიდევ უფრო დიდი დამარცხებით, ტანჯვა-წამებით ეხილება თვალები მუშათა კლასს და იგნებს იგი ცხოვრების რთულ საკითხებს. იმათ, ვისაც უნდათ გამოაღვიძოს მუშათა კლასში ეს ფარული ძალა,— საერთო კლასიური სოლიდარობისა, არ უნდა ატყუონ მუშები ფარისევლური სიტყვებით, გუნდრუკის კმევით. მაგრამ ყველა ამისათვის უპირველესად ყოვლისა, აუცილებლათ საჭიროა ჩამოშორება გულუბრყვილო წმინდა მისტიურათ პროლეტარიატის პსიხოლოგიის წარმოდგენისა. პროლეტარიატის შეგნება იშლება მხოლოდ ბრძოლის პროცესში, პირადი განცდით და შეთვისებით ყველა იმ გამოცდისა, რაც უკვე გამოვლილა წარსული მუშათა თაობის მიერ. ტყუილათ და მუქთათ არაფერი კეთდება და არც არავინ არაფერს იძლევა. ის, ვინც ფიქრობს, რომ შევიდა რა ქარხანაში ან ფაბრიკაში მუშა სამუშაოთ, ერთბაშათ გახდება მატარებელი ნამდვილი კლასიური შეგნებისა, თავის გულუბრყვილობით სასაცილო ადამიანია. ქარხანაში შესვლა კი არ ქმნის ადამიანს იმ წამსვე გახდეს ნამდვილი კლასიური შეგნების მატარებლად, არამედ ცოდნა, შესწავლა და გამოცდილება იმისა, თუ ვინ არის თვითონ, რას აკეთებს, რა უნდა, და როგორ უნდა აკეთოს, რისთვის უნდა აკეთოს, ვინ და რა ეწინააღმდეგება მის ინტერესებს და ვინ ან რა იცავს; როდესაც ყველა ამ [illegible] შეისწავლის, მაშინ იქნება [illegible] კაპიტალისტურ ცხოვრების რთულ კითხვებზე. მაშინ იქნება ის კლასიურათ შეგნებული მუშა. და რომ ეს ასე მოხდეს, რომ მუშებმა შეიგნონ თავის ნამდვილი კლასიური ინტერესები, გახდენ მატარებელი ნამდვილი კლასიური შეგნებისა, ამისათვის საჭიროა ეხლავე მიექცეს ამას უმთავრესი ყურადღება ყველა რევოლიუციონურ-პოლიტიკურ პარტიულ და კულტურულ ორგანიზაციების მიერ: უკვე მიდის თანდათანობით საგიტაციო დღეები, ცხოვრება ნორმალური კალაპოტისაკენ მიექანება, ნორმალური პირობები კი თხოულობს მუშათა კლასში დალაგებულ-დადებითი მუშაობას, რომ ამით რაც მოიპოვა ქარტეხილის ხანაში განამტკიცოს, შეირჩინოს. წერილს ამით დავათავებ, მხოლოდ შევეხები მეორე წერილში იმ კითხვებს, რომელსაც დღეს სასტიკი ყურადღება უნდა მიექცეს თვით მუშათა კლასის ინტერესებისათვის. ეს კითხვებია: შრომის ნაყოფიერების დაცემა და მასთან ბრძოლა.

აკ. პლებეიშვილი.

## საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეების ყრილობა

14 ივნისს სხდომას ხსნის თავმჯდომარე ვ. შალიკიანი და აცნობს ყრილობას დღის წესრიგს, რომელიც შეუსწორებლად იქნა მიღებული. ამ დროს შემოდის ამხ. ალ. ლომთათიძე, რომლის შემოსვლა დიდ აღფრთოვანებას იწვევს და ტაშით ეგებებიან. ამხ. ლომთათიძემ ვრცელი მოხსენება გააკეთა მიმდინარე მომენტის შესახებ. ის კუთხე, სადაც კიდევ დარჩენილა რევოლიუციის მონაპოვარი, ჩვენ უნდა დავიცვათ და თუ დავიღუპებით, ისტორია იტყვის, რომ ჩვენ დავიღუპეთ რევოლიუციის და ხალხის დაცვაში. ამ სიტყვებით ათავებს ის მოხსენებას. შემდეგ აძლევენ შეკითხვებს, რომელზედაც პასუხს ღებულობენ და კმაყოფილდებიან. ყრილობამ უკამათოთ ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: თფილისი, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, პირი საქართველოს ეროვნულ საბჭოს: „მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ლომთათიძისა დღევანდელ მომენტზე, საქართველოს ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეთა პირველი ყრილობა მხურვალეთ მიესალმება საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკათ გამოცხადებას, როგორც დასკვნას ისტორიის აუცილებლობისას; უსურვებს ახალგაზრდა რესპუბლიკას სრულ აყვავებას და დღეგრძელობას. პირდება ყოველმხრივ დახმარებას ყოველივე ნაბიჯში გადადგმულსა დემოკრატიისა და მთელი ხალხის საკეთილდღეოთ".

შემდეგ ამხანაგი შალიკიანის წინადადებით ა. ლომთათიძე, ი. წერეთელი, ნ. ჟორდანია და კარლო ჩხეიძე ყრილობამ ამოირჩია საპატიო თავმჯდომარეებათ. მომხსენებელს-კი მადლობა გამოუცხადა.

სარგისი

## მუშათა შორის

**თფილისი.** თფილისის ქალაქის გამგეობის წინაშე დაისვა საკითხი ერთგვარი სამუშაო დროის დაწესების შესახებ იმ მუნიციპალურ დაწესებულებებში, სადაც მუშაობა სწარმოებს მორიგეობით მთელი დღე ღამის განმავლობაში. ამასთანავე აღიძრა საკითხი ღამის განმავლობაში ზედმეტი შრომის ფასის შესახებ.

ამ საკითხების გამოსარკვევათ მოწვეულ იქნა თათბირი, რომელსაც დაესწრენ მუშათა დეპუტატების საბჭოსა და ქალაქის დაწესებულებათა მუშებისა და მოსამსახურეების წარმომადგენლები, გამგეობის წევრი და შრომის კომისარი.

თათბირზე გამოირკვა, რომ ზოგიერთ ქალაქის დაწესებულებებში, როგორიც არის მაგ., ელექტრონის სადგური, ტრამვაი, სასალახო, პურის საცხობები და სხვ., მუშაობა სწარმოებს თურმე შეუწყვეტლივ მუშების სამი მორიგეობით. მაგრამ ამ დაწესებულებებში არ არის დაწესებული ერთგვარი წესი, არც მორიგე მუშათა შორის დროს განაწილების და არც ზედმეტი მუშაობისთვის ხელფასის მხრით.

მაშინ, როცა სასალახოსა და პურის საცხობების მუშები მუშაობენ მორიგეობით რვა-რვა საათს, ქალაქის ზოგიერთ დაწესებულებებში მაგ., ელექტრონის სადგურში შემოღებულიათ წესი, რომლის თანახმათ ღამე მორიგეობის დროს ნორმალურ სამუშაო დროთ ითვლება 4 საათი, როცა ორი დანარჩენი მორიგეობის დრო 8 საათით არის განსაზღვრული. ასეთ შემთხვევაში ღამის მორიგეობა ფაქტიურათ 8 საათს მუშაობს, 4 საათ. მუშაობისთვის იღებს ზედმეტ ხელფასს. ზედმეტი ხელფასის განსაზღვრის დროს ხელმძღვანელობენ შემდეგი ანგარიშით: პირველი 4 საათი ითვლება როგორც ნორმალური სამუშაო დრო—8 საათი. დანარჩენი 4 საათი ითვლება როგორც ორმაგი ზომის ზედმეტი დრო ე. ი. როგორც 8 საათი და გარდა ამის

დროის განმავლობაში მუშაობისათვის ხელფასს ორმაგს იძლევიან.

მაშასადამე, 4 ზედმეტი საათი ღამის მორიგეობის დროს ფასობს როგორც 16 საათი.

ვინაიდან თათბირზე ქალაქის თვითმართველობის და მუნიციპალურ დაწესებულებების წარმომადგენლები ვერ შეთანხმდენ, მათ გადასწყვიტეს სადაო საკითხები გადეცათ ცალკე კომისიისთვის, რომელშიაც შედიოდენ შრომის კომისარი ი. ტრეიმანი, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრი ი. ბადრიძე, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ს. ავატკოვი და შრომის ბირჟის წარმომადგენელი.

6 ივნისს ამ კომისიის სხდომაზე გამოირკვა, რომ მუშათა კავშირების წინაშეც სდგას საკითხი ნორმალურ სამუშაო დროის დაწესების შესახებ. ელექტრონზე და ლითონზე მომუშავეთა კავშირებმა შეიმუშავეს კოლექტიური ხელშეკრულება, რომლითაც წესდება ასეთი სამუშაო დრო: პირველი (დღის) მორიგეობა მუშაობს 8 საათს, მეორე—7 საათს და მესამე—6 საათს. სამუშაო დროის ასეთი განაწილება არა ერთხელ განუხილავთ ყოველ მხრით კრებებზე დაინტერესებულ მუშათა თანდასწრებით და მოიწონებიათ, როგორც თანამედროვე მომენტის ობიექტიურ პირობების შესაფერი.

კომისიამ განიხილა სამუშაო დროის შესახებ საკითხი ყოველ მხრივ და დაადგინა:

1. საყოველთაოთ აღიარებულათ უნდა ჩაითვალოს, რომ ღამით მუშაობა უფრო მომქანცველია, ვინემ დღისით, ამიტომ ღამის მორიგეობის სამუშაო დროც სათანადოთ მოკლე უნდა იყოს.

2. უნდა აღიარებულ იქნას, რომ ქალაქის ზოგიერთ დაწესებულებებში შემოღებული ღამის მორიგეობა 4 საათის განმავლობაში მაშინ, როცა დაწესებულია 8 საათის ნორმალური სამუშაო დრო არის არა ნორმალური მოვლენა, რომლის გამართლება არ შეიძლება არც სამართლიანობის მოსაზრებით, არც მრეწველობის დღევანდელი განვითარებით და რომელიც ეწინააღმდეგება ქალაქის დემოკრატიის სწორათ გაგებულ ინტერესებს.

3. საჭიროდ უნდა იქნას აღიარებული ქალაქის იმ დაწესებულებებში, რომლებიც განუწყვეტლივ მუშაობენ დაწესდეს შემდეგი სამუშაო დრო: პირველი მორიგეობა მუშაობს 8 საათს, მეორე 7 ს. და მესამე—6 საათს.

4. როცა საჭიროა მუშაობა მთელი დღე-ღამის განმავლობაში, მაშინ მეორე და მესამე მორიგეობის მუშები ზედმეტს მუშაობენ—მეორე მორიგეობა 1 საათს და მესამე—2 საათს.

5. სავალდებულოა ზედმეტი მუშაობის თანასწორათ გაწილებულათ საჭიროა მორიგეობის შეცვლა.

6. წინადადება მიეცეს ქალაქის გამგეობას გადადგას ნაბიჯები ზედმეტი მუშაობის მოსასპობად.

ზედმეტი მუშაობის ხელფასის შესახებ კომისიამ სცნო, რომ ზოგიერთ დაწესებულებებში არსებულ წესს, რომლის თანახმად 4 საათი ფასდება როგორც 16 საათი, არა აქვს არც ლოღიკური, არც კანონიერი საფუძველი და კავკასიაში ეკონომიურ ცხოვრების განუვითარებლობის დროს ხელს უწყობს ქალაქის მეურნეობის დაშლას. ამიტომ კომისიამ ერთხმათ დაადგინა:

1. ღამის განმავლობაში ზედმეტი მუშაობისათვის უნდა მიეცეს ორმაგი ხელფასი, საფუძვლათ მიღებულ უნდა იქნას ნორმალურ დროის ხელფასი.

შენიშვნა: ამიერ კავკასიის კომისარიატის დეკრეტის თანახმათ (მუხ. 6.) ზედმეტი მუშაობისთვის პირველ ორ საათის განმავლობაში აძლევენ ერთ-ნახევარჯერ მეტ ხელფასს. სცნობს რა ამ ხელფასს არ მაქსიმალურათ, არამედ უზრუნველყოფილ მინიმუმათ, და იღებს რა მხედველობაში, რომ ღამის მუშაობა უფრო მომქანცველია, კომისია ზედმეტ მუშაობისთვის ორმაგ ხელფასს აღიარებს სამართლიანათ და მისაღებათ.

## პავლე ვას. აბაშიძე

პარასკევს, 14 თიბათვეს, თბილისის განმანაწილებელ პუნქტში ტრაღიკულათ გარდაიცვალა პავლე ვას. აბაშიძე. პავლე სიცოცხლით სავსე ახალგაზდა იყო, 21 წლისა, მისი დაკარგვით ამხანაგებმა დაკარგეს სიცოცხლით სავსე მოჯამაგირე ძალა. პავლე ჯერ კიდევ 15 წლის იყო, რომ მუშათა მოძრაობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. 1914 წელს ის ქუთაისში დააპატიმრეს მუშათა გაფიცვაში მონაწილეობისთვის. როდესაც პავლე ციხიდან გაანთავისუფლეს, საერთაშორისო ომი დაიწყო და შეკდომით სალდათათ წაიყვანეს, მაგრამ რადგან ის პატარა ხნის იყო, ისევ გაანთავისუფლეს. რევოლიუციის შემდეგ ის თბილისის განმანაწილებელ პუნქტში მსახურებდა. დღიდან წითელი გვარდიის დაარსების, ის ჩაეწერა გვარდიაში, რომელიც საუკეთესო ხელმძღვანელი იყო გვარდიელების, როგორც უნტერ-აფიცერი.

14 თიბათვეს მას ჩვეულებრივათ გვარდიელები ყავდა სავარჯიშოთ. მის ამხანაგს, გვარდიელ ნიკოლაიშვილს შეცდომით გაუვარდა თოფი, მოხდა პავლეს და მოჰკლა. დიახ პავლე აბაშიძე მოკვდა! ის მოჰკლა დაუდევრებელი ამხანაგის ხელმა! პავლე როგორც საუკეთესო გვარდიელი ყველგან მონაწილეობას ღებულობდა, სადაც კი იყო ჩვენი სახელოვან გვარდიელები კონტრ-რევოლიუციონერებისა და ყაჩაღების წინააღმდეგ. ჩვენი, დინჯი ქვეყანი და თანაც გამბედავი მებრძოლი პავლე მრავალჯერ მტრის ტყვიას გადაურჩა და დღეს კი, დღეს ამხანაგის ტყვიამ იმსხვერპლა.

აღარ გვყავს საუკეთესო დინჯი და მუყაითი მებრძოლი ამხანაგი! შენი დამწუხრებული ამხანაგები დავსტირით შენს გაციებულ ცხედარს! მაგრამ შენი ხსოვნა სამუდამოთ დარჩება შენი ამხანაგების გულში! შენ მოკვდი იმ დროს, ამხანაგო პავლე, როდესაც იშვიათად მოიპოვება შენისთანა რევოლიუციის დამცველნი გმირები; როდესაც არ ვიცით, თუ რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე. მშვიდობით, ამხანაგო პავლე!

ბ. კაპანაძე

---

ცხარე ცრემლებით დავსტირით ძვირფასი და საყვარელი ამხანაგის პავლე გ. აბაშიძის ცხედარს. ღრმა კვალი დასტოვა შენმა მუშაობამ ჩვენში. სამარადისოთ იქნება შენი ხსოვნა შენს ამხანაგ-მეგობრებში, გულწრფელო პავლე... მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო.

ნავთლუღის განმანათლებელ პუნქტის სანიტართა კორპორაციის მონდობილობით გერმანე მესხიშვილი.

---

მწუხარებით აღნიშნავს განმანაწილებელი პუნქტის რაიონული კოლექტივი ს. დ. მ. პ. საუკეთესო მებრძოლ და მუშათა კლასისათვის თავდადებულ ამხანაგის ტრაღიკულათ დაკარგვას. პავლე იყო მედგარი მებრძოლი და წევრი ჩვენი პარტიისა, რომელმაც წითელი ზოლი გაავლო თავის მოკლე სიცოცხლეში პარტიულ მუშაობას. მშვიდობით ამხანაგო პავლე! შენი გზა პატიოსანი იყო და პატიოსნათ განვლე უკანასკნელი სიცოცხლის წამიც.

განმ. პუნ. ს. დ. მ. პ. ორგანიზაცია.

## საექიმო დახმარება სოფლად.

მე ამ წერილით მინდა ყურადღება მივაქცევინო მკითხველს ერთ ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე, რომელსაც დიდი სახელმწიფოებრივი ყურადღება სჭირია,—ჯანმრთელობის საქმე სოფლად მეტად ცუდ პირობებშია ჩაყენებული. დღეს სოფლად, სადაც არსებობენ ქსენონები, არ არის საექიმო პერსონალი, არ არის წამალი, სამკურნალოს მოწყობილება და სხვ. რამაც დიდი ზარალი მოუტანა სოფლის მცხოვრებთ და იგინი შეიქნენ მსხვერპლი ათასგვარი ცრუ მკურნალების, „ფეფელა—კეკელების“ „სამსონა-ზაქარიების“, მაგრამ თითქოს ეს ასე უნდა იყოსო, მაინც გულგრილად ვუყურებთ ამ საქმეს.

დღეს, როცა ეზოსმგველი იღებს 200 მან. და რვა საათსა მუშაობს, ექიმი სოფლად იღებს 110 მ. მისი თანაშემწე 40 მან. ეს მაშინ, როცა ფუთი ფქვილი 60 მან. მეტი ღირს. ბევრს ჰგონიათ, რომ სოფლად მსახურთ საექიმო პერსონალს კერძო შემოსავალიც აქვს, მაგრამ ვინც ამას ფიქრობს მეტად სცდება. თუ ვისმეს აინტერესებს მათი მდგომარეობა, მე მზათ ვარ ვაჩვენო მათი მოწერილი ქაღალდები ჩვენდამი ე. ი. საექიმო საგუბერნიო საბჭოში. აი ერთი ქაღალდიდან სანიმუშოთ ამოღებული ზოგიერთი ქალის სიტყვები:

„უკიდურეს პირობებში ვიმყოფები, თუ ადამიანობა გწამთ ძველი ტანისამოსი, ფეხსაცმელი შეიძინეთ, რადგან ტიტველნი ვართო“. ექიმის თანაშემწე იწერება... „მეტი მოთმენა არ შემიძლიან, ცოლ-შვილი შიმშილით მეხოცება, თუ თქვენ არ გამანთავისუფლეთ, ჩემი ნებით წავალ და მილიციონერათ მანდა დავდგე, რადგან იქ 300 მ. და ჩემი 40 მან. ცხოვრება აღარ შემიძლიანო“... და სხ. ასეთი წერილები ბევრი მოგვდის, მაგრამ რა შეუძლიან საბჭოს.

ეს საბჭო ჯერ კიდევ მთელი ოფლისის გუბერნიის საჭირო პერსონალის ყრილობამ ამოირჩია, რაც მეც ამ სტრიქონებას დამწერს წილად მხვდა საუბედუროთ წევრობა... ყრილობამ საბჭოს მიანდო სოფლად სრული საექიმო წოდებულების რეორგანიზაცია და მათი მატერიალური დახმარების გაუმჯობესება და მთავრობასთან შუამავლობა; საბჭო თუმცა შეუდგა მუშაობას, რამდენიმე დასაბუთებული მოხსენება გააცნო მინისტრთან, რამდენჯერმე აღძრა საკითხი, მაგრამ საბჭოს თხოვნა რჩებოდა „ხმათა მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“.

რის გამო ვუგლახით დაადასტურებინეს მთავრობას ერთდროული დახმარება სამი თვით ექიმებს 250 მ. მათ თანაშემწეთ 150 მ. და ეს ქაღალდი საბჭომ ოფიციალურათ მიიღო, მაგრამ როცა საბჭოს ხარჯთაღრიცხვა წარუდგინა, მაშინ ფულის მოცემაზე უარი მოგვივიდა...

ბევრია კიდევ სათქმელი, მაგრამ აღარ გავაგრძელებ წერილს. მხოლოდ ეხლა ორიოდე სიტყვას ვიტყვი ახალ ჯანმრთელობის მინისტრის შესახებ ანუ გამგის... საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ეს საქმე ექიმ გვარჯალაძესთვის მიუნდვია, რაც მეტად სასიამოვნოა, მხოლოდ არ შემიძლიან არა ვთქვა, რომ მარტო თვით ა/ხ. ექ. გვარჯალაძე ვერ შესძლებს ამ საქმის გაძღოლას და საჭიროა ჩემის აზრით დაარსდეს საექიმო საბჭო სამინისტროსთან დემოკრატიულ პრინციპებზე აშენებული. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გვარჯალაძე, როგორც დემოკრატიული იდეის მატარებელი, ნებას არ მისცემს ბიუროკრატ ზოგიერთ ექიმთა სურვილებს. ამ ექიმებს ჰგონიათ, რომ დემოკრატიული ელემენტი საექიმო დარგში, ანუ რაიმე არჩევაში ფუჩიცია, მაგრამ სცდებიან... აგრეთვე იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამხ ექ. გვარჯალაძე ანგარიშს გაუწევს არსებულ საექიმო საბჭოს და მასთან მჭიდრო კავშირს იქონიებს.

ვ. საათაშვილი.

## საქართველოს მეთამბაქოეთა საყურადღებოთ

ომიანობისა და სერთო მდგომარეობის არევ დარევის გამო, წელს, თამბაქოს გაყიდვა, გასულ წლებთან შედარებით დაგვიანდა. რაც მწარმოებელ ღარიბ გლეხობას სასოწარკვეთილებაში აგდებს, რადგანაც ზოგიერთიმათგანის ერთად ერთი შემოსავლის წყარო თამბაქო არის. სამაგიეროთ კაპიტალისტები სარგებლობენ ღარიბი მეთამბაქოეთა გაჭირვებით და სურთ მათი ნაოფლარი ჩალის ფასათ ჩაიგდონ ხელში და შემდეგ ერთი ათად და მეტად გაყიდონ.

ეს უნდა მოხდეს მაშინ, როცა დარწმუნებული ვართ, თამბაქოს ფასი დღითიდღე მოიმატებს, რადგანაც წელს შექმნილი მდგომარეობის გამო თამბაქო იმის მესედიც არსად დარგულა, რაც აქამდე ირგვებოდა. მაშასადამე ცხადია, ფასი არამც თუ დაეცემა ხსენებული ნაწარმოების, არამედ გადიდდება. საჭიროა მხოლოდ მეთამბაქოებმა თავი შეიკავონ და თამბაქო იხრის ფასათ არ გაყიდონ.

ყველა ამას უნდა ორგანიზაციულათ შეკავშირება როგორც ადგილობრივათ, ისე რაიონებშიაც. ეს ასეც მოხდა. გასული წლის 26 ნოემბერს თფილისში შედგა ამიერ კავკასიის მეთამბაქოეთა ყრილობა, სადაც არჩეულ იქნა ხუთი წარმომადგენლისაგან ბიურო, რომელიც მას შემდეგ შეძლებისდა გვარათ ხელმძღვანელობს ხსენებულ საქმეს: შეიმუშავა საერთო სრული წესდება, აცნობა კავშირის არსებობა და დაახლოვებით თამბაქოს რაოდენობა ყველა დაწესებულებებს და კაპიტალისტებს როგორც ადგილობრივათ, ისე სხვა ქვეყნებში, ერთი სიტყვით ბიურო ცდილობდა ბაზარი გამოენახა თამბაქოსათვის, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, დღემდე არაფერი მოხერხდა. დღეს მდგომარეობა შეიცვალა, საქართველომ ომი გაათავა და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამის გამო ეხლა ბაზარზე მყიდველებიც გამოჩნდენ სხვადასხვა მხარეებიდან, რომლებიც, რა თქმა უნდა დაინტერესებულნი არიან, რაც შეიძლება იაფათ იყიდონ საქართველოს ნაწარმოები. ჩვენ კი უნდა ვეცადოთ შრომის ფასი ავიღოთ. ამისათვის საჭიროა ბიუროს დაუკითხავათ თამბაქო არც ერთ საქართველოს კუთხეში არ გაიყიდოს. ამის გამო ბიურომ აუცილებელ საჭიროთ დაინახა მოწვეულ იქნას საქართველოს მეთამბაქოეთა ყრილობა თფილისში, რომ საბოლოო ფასები ხელახლათ გამომუშავდეს და ბიუროს ამ მხრით საქმის წარმოება გაუადვილდეს. კრების დღეთ დაინიშნა 29 ივნისი (ახალი სტილით). განსახილველი იქნება შემდეგი კითხვები: წესდების ხელახალი განხილვა და შევსება; თამბაქოს ფასის ხელახლა გადასინჯვა; ჩვენი დამოკიდებულება მთავრობის ეკონომიურ კომისიასთან; მეთუთუნეთა ბიუროს ინსტრუქცია; კავშირის ფინანსიური მხარე და სხვადასხვა კითხვები. კრების დრო და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

მეთუთუნეებმა აუცილებლათ უნდა გამოგზავნონ ამ კრებაზე თავიანთი წარმომადგენლები. თან ადგილობრივ წინასწარ კრებებზე გამოარკვიონ თამბაქოს მინიმუმი ფასი. ბიურო განმეორებით სთხოვს ყველას ნუ აჰყვებიან ჩარჩების პროვოკაციას, შეიკავონ თავი და თავიანთი ნაოფლარი ჩარჩებს მუქთათ არ ჩაუგდონ ხელში. გვახსოვდეს ყველას, რომ ძალა შეერთებაა - შეკავშირებაშია. არც ერთი ფუთი თუთუნი ჩარჩებს ბიუროს ნებადაურთველათ.

საქართველოს მეთამბაქოეთა ბიურო.

## მუშის წერილი

ეს ერთი კვირაა, რაც ახალი ამბები გვეუბნება, ვითომც ქართველები ოსებს ემტერებიან და ოსები ქართველებსა.

რამდენათ მართალია ეგ არ ვიცით და ამისთანა ცრუ სიტყვებს ჩვენ ნაკლებათ უნდა მივაქციოთ ყურადღება. მართალია ძმა და ძმის შუაც არ გამოილევა პროვოკატორული ამბები და რა თქმა უნდა ერსა და ერის შუაში უფრო ხშირათ ვრცელდება ასეთი რამ. ქართველი დემოკრატია და ოსი დემოკრატია შეგნებულათ უნდა დაუხვდენ და ყურადღებაც არ უნდა მიაქციონ ქვეყნის დამღუპველების და მაგისთანა ბნელი ძალების სიტყვებს, რადგანაც ერსა და ერის შორის შურისძიება უნდა ჩააგდონ, ერთმანეთს უნდა შეატაკონ და ამაში უნდა გაიქელიტონ მიამიტნი და ღარიბი ორი ქართველის დემოკრატია, თორემ ქართველ ერის და ოსის ერის შუაში რა განსხვავებაა, არაფერი. თუ კი ამდენი წელიწადი ერთ მიწა-წყალზე და მამის პაპამდინ ტკბილათ სცხოვრობდენ, ძველ დროს მძიმე უღელს ვიტანდით და უფრო მძიმე მდგომარეობაში ვიყავით და ბატონის რისხვა და მითხარი არც ოსის და არც ქართველის კისერს არ აშორდებოდა და თუ კი მაშინ გვქონდა მოთმინება და გვიყვარდა ერთმანეთი დღეს, როცა ყველა ერი თავისუფლათ ვცხოვრობთ და ტკბილათ და ძმურათ შეგვიძლია ვიცხოვროთ და რა მარგალიტიც რევოლიუციას მიუცია ის ძმურათ და მეზობლურათ შევინახოთ და შევინარჩუნოთ. ჩვენ თავისუფლებას დღეს შიგნით ბევრი მტრები და ბნელი ძალები ჰყავს. და სწორეთაც ამ ბნელ ძალებს ის უნდათ, რომ ერი ერს შეეტაკოს და ერთმანეთი დაგვამარცხებინონ ჩვენის ხელით. და მერე ის ბნელი ძალები და თავად-აზნაურები თავს წამოგვასხდებიან და გვეტყვიან: არა ყოფილა გლეხი ღირსი თავისუფლებისა, ვეღარც მოიპოვებს და მაშინ მართლაც გაგვთელენ ბნელი ძალები.

მაშ, ძმებო და ამხანაგებო, გლეხებო და მუშებო ყველა ერისა, შეერთდით ყველა და კეთილ ცხოვრებას ხელი შევუწყოთ და შეერთებული ძალით მივცეთ პასუხი ბნელ ძალებს და დავამხოთ ისინი და ჩვენ კი ვიცხოვროთ ძმურათ და მეზობლურათ ერთმანეთის სიყვარულით.

ილია ჩარაშვილი.

## პროვინცია

**ზემო ქართლში.** 25 მაისს ჩამოვიარეთ მოხისის საზოგადოებაში და გომში, მაგრამ არც სოფლის არჩეულები და არც კომისარები სოფლათ არ იყვენ, რის გამოც ვეღარ ვაცნობეთ ხალხს ჩვენი მისვლის მიზანი. ამავე დღეს ვიყავი სოფელ საციხურში, სადაც ჯარისკაცებს და სოფლელებს შეეყარათ თავი. ჩვენს შეკითხვაზე—დღეს რა უქმეა?—ერთმა 70 წლის მოხუცმა გვიპასუხა: „დღეს ზანტიკობააო“. გამოირკვა ამ კრებაზე, რომ სოფელში შეიარაღებული პირები არ არიან, მხოლოდ ჯარისკაცები კი. მათ ერთხმად შეგვძახეს: „თუ თოფს მოგვცემთ, მოვდივართო“. 26 მაისს მივედით ხცისის საზოგადოებაში. დღის 12 საათზე შესდგა საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ აირჩიეს გ. გაგლოევი. დაადასტურა კრებამ 14 მაისს გამართულ კრებაზე მიღებული რეზოლიუცია, და უკანასკნელი წინადადებით გაიგზავნა ყველა სოფლებში თვით ხალხის მიერ შეიარაღებული ჯარისკაცები, რათა დაუყოვნებლივ გამოიყვანონ ყველა სალდათები და ის პირებიც, რომელსაც საზოგადო კრების მიერ არჩეული კომისია არგუნებს წასვლას. საზოგადო კრებას დაესწრო აწყურის ფრონტიდან მოსული ჯარისკაცები: პეტრე კურტანიძე, პ. კვარაძე, ს. მესხიძე, ალ. ბიწაძე, რომლებსაც დავალება ჰქონდათ ხალხის გამოყვანის. როდესაც ამათ დაგვინახეს და დარწმუნდენ, რომ ჩვენ ყოველივე ზომებს ვღებულობთ ფრონტზე მყოფ ამხანაგების დასახმარებლათ, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ისე აღტაცებით იყვენ და ისინიც გავაყოლეთ კომისიას სოფლად, რათა იმათაც აეხსნათ მდგომარეობა. კრების დასასრულ არჩეულ იქნა ჯავაში ოსების ყრილობაზე გასაგზავნათ ორი კაცი: ანდრო გასიშვილი და ივანე ჯიოშვილი.

27 მაისს სურამიდან გამოცხადდა ოცი შეიარაღებული კაცი, რომლებიც წავიდა აწყურის ფრონტზე და რომლებმაც განაცხადეს: „ჩვენ 400 კაცამდე ავწერეთ, თუ თოფს მისცემენ, წამოვლენო“.

27 მაისს საღამოს გაიმართა კრება სოფელ ცხრამუხაში, რომელმაც ერთხმათ სცნო თავდაცვის საჭიროების აუცილებლობა, აირჩია კომისია, როგორც სხვა სოფლებში და შეგვპირდა დაუყოვნებლივ გამოსვლას.

28 მაისს დანიშნული იყო კრება სოფელ ქალაზე, მაგრამ არ შესდგა კანონიერი რიცხვი, რის გამოც ხელმეორეთ დავნიშნეთ 29 მაისისათვის. ამ დღეს ხალხიც საკმაოთ შეიკრიბა. თავდაცვის აუცილებლობა ამ კრებამაც ერთხმათ აღიარა. აირჩია კომისია და შეუდგა საქმეს. როგორც გამოირკვა, ამ სოფლიდან დიდი ნაწილი საზოგადოების რკინის გზის მოსამსახურე ყოფილა და გვარდიელებიც ფრონტზე წასულან. დანარჩენი კი, ვინც ასწერეს ჯარში წასასვლელად 27 კაცამდე, ყველა ვაჟები და ისეთებია, რომლებიც დღემდე სხვადასხვა „საშუალებით“ ჯარისკაცობიდან თავისუფალი იყვენ. კომისიის ასეთმა მოქმედებამ, როგორც ადგილობრივ ჯარისკაცებში, ისე მოსულებში, დიდი სიხარული გამოიწვია.

30 მაისს გამოვიდა ხცისის საზოგადოებიდან ჯარისკაცები 100 კაცი, ამათ თავის მხრით გამოჰყვეს 15 კაცი შეიარაღებული, რომლებიც გაიგზავნა ამავე საზოგადოებაში ყველა აწერილ პირების ჯარში გასაწვევათ.

3 ივნისს მოხისში და გომში მოეწყო კრება, სადაც გავაცანით ხალხს მდგომარეობა და მოვუწოდეთ თავდაცვისაკენ. მოხისში კრებამ ერთის წინააღმდეგ აუცილებელ საჭიროთ სცნო თავდაცვა და არჩეულ იქნა კომისია სასწრაფოთ ჯარისკაცების გასაწვევათ...

გომშიც აირჩიეს ჯარის დაუყოვნებლივ გამომწვევი კომისია. რამდენიმე ისეთი პირები, რომლებსაც ჯარში არ გაიყვანდა კომისია, თავისი ნებით ჩაეწერა თავდაცვისათვის შემდგარ რაზმში და განაცხადა: სახლში ლაჩრულად სიკვდილს, მირჩევნია „აკოპებში“ მყოფ მებრძოლ ძმებთან გმირულათ სიკვდილით. კმარა ამდენი ხნის ცდა, დროა გონს მოვიდეთ და ვიხსნათ სამშობლო და თავისუფლება განსაცდელისაგან.

ი. ყაჭეიშვილი.

---

**ს. ასკანა (გურია).** სახნავ-სათესი ადგილი თითქმის არ მოიპოვება აქ. აქაურ მცხოვრებთა ერთ პროცენტსაც არ მოსდის საკმარისი სიმინდი. ივნისამდე შემოტანილი პურით და სიმინდით. ორ უკანასკნელ წელს გურიაში მოსავალი ძლიერ ნაკლები იყო. ადგილობრივი მცხოვრებნი ადრიდგანვე შეუდგნენ თადარიგს, რომ სიმინდი შეეძინაათ ჩრდილო კავკასიაში. გასული წლის ოქტომბრის თვეში შესდგა სასურსათო კომიტეტი, რომელსაც დავალებული ჰქონდა სიმინდის შეძენა. სასურსათო კომიტეტი ჩამოაშორა თავის მოქმედებას კავშირებმა და კოოპერატივებმა, თითონ იკისრეს სიმინდის მოწოდება და კიდევაც წაიღეს რამოდენიმე ათასი მანეთი ბეთ. კავშირებმა შექმნილი პირობების გამო სიმინდის გადმოტანა ვერ მოახერხეს და დაიმედებული ხალხი უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდა. სამეგრელო-იმერეთიდან, სადაც შედარებით კარგი მოსავალი იყო, ორგანიზაციულათ სიმინდის გამოტანა არ მოეწყო სხვა და სხვა მიზეზების გამო. კერძოთ ნაყიდი და ქურდულათ გამოტანილი სიმინდით ხალხი ვერ დაკმაყოფილდა და სრულიად გაიყვლიფა. ეხლა იქაც სიმინდი გამოილია და თუ სადმე მოიპოვება, 40—50 მანეთად აფასებენ ფუთს, რაც ხალხისათვის ხელმიუწვდომელია. არსებული პირობების მიხედვით სოფლის რწმუნებულები სთხოვენ რესპუბლიკის მთავრობას დახმარება აღმოუჩინონ დამშეულ და სრულიად უწყლო ხალხს. ასკანის საზოგადოება შესდგება ექვსი სოფლისაგან, მცხოვრებთა რიცხვი 837 კომლ. 4,280 სული.

X.

## თფილისის უნივერსიტეტი

### შემოწირულებანი:

თფილისის ქართულმა უნივერსიტეტმა მიიღო: „თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის გამოცემისაგან“ „დაწყებითი ალგებრა“ შედგენილი ვ. რ. ყიფიანის მიერ; ჟურნალ „პირველი ნაბიჯის“ მიმდინარე წლის ნომრები ორ-ორი ცალი; ვასილ ნიკოლოზის ძე მესხისაგან ქუთაისის სათადარიგო პოლკის აფიცერთა შორის შეგროვილი ოთხი ათას სამას ოცდა-თვრამეტი მანეთი (4.338 მან.) განსვ. კ. აბაშიძის ხსოვნის აღსანიშნავად; ჟურნალ „ჯეჯილის“ მიმდინარე წლის ორ ორი ცალი; სტუდენტის გ. ბურჭულაძისაგან ერთი ვერცხლის ფული ირაკლი მეფის დროისა; ჟურნალ „პრომეთეს“ სამ ვე ნომრის ორ-ორი ცალი; ნატანჩავის (სამეგრელოშია) საკრედიტო ამხანაგობისაგან 168 მან. და 24 კაპ.; საგარეჯოს კოოპერატივისაგან—გამოგზავნილი მასწავლებლის ალ. ლეჟავას მიერ 300 მან.

**უნივერსიტეტის გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს შემომწირველთ.**


**გაიხსნა თვალის სამკურნალო**
(მუდმივი საწოლებით)
პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის ყოფილი ასისტენტის ექიმ დონხნისა.
იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს დილის 9—1 ს.მდ. და სად. 5—7 ს.მდ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 14 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მ. იმე ავადმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

**ექ. ქალი რ. ბ. შიული სახაშვილ...**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მეან-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დ... გებს. სიფილისის წამლობა ახალი მ... თოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქ. № ..., სახლი № 82. ტელ. № 9—26.

**ექიმი ი. ბ. ქორიძე.**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფ... საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდის... უბნის ქ. № 3.

**ექიმი ვ. კვიციშვილი.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № ..., კუთხე მიხეილის პროსპექტის—... ჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი ... 48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ყ... დღე-დღეს 12—2 საათამდე.

**ექიმი ზ. დონხინი**
პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტ... ყოფილი დიდი ხნის ასისტენტი იღებ... თვალის ტკივილებით ავადმყოფებს დ... ლის 9—12 ს.მდ. საათამდე, სად. 4—7 ს... ათამდე. მიხეილის პროსპექტი 76 (ხ... კინის კბილის საექიმო). ტელეფ. 7—3...

**ექიმი ნ. ა. ფოფხაძე**
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფ... ყოველ საღამოს 5—7 საათამდე. გრაფ... ქუჩა № 8. მონასელიძის ბინა.

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავად... მყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით ... —9 საათამდე, სად. 5—7 ს. ჩერქეზოვ... ქუჩა № 14.

**ექიმი ნ. ... ტურიაშვილი**
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნი... ვერსიტეტის შინაგან სახავშვო, სამებ... და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფ... იღებს ყოველდღე შუადღის 12—2 ... საღამოს 4—5 საათ. უფასოთ იღებს ყ... დღე-დღე დილ. 9—10 საათ. მისამართ... ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმონოვის ფოტ... აქის გვერდით.

**ექიმი ლ. ი. ცაგარელი.**
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვ... სნეულებანს, ყოველ დღე დილის 8 ... —10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგ... ვს ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—...

**სამკურნალო კაბინეტი**
**ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიას...**
მიიღებს ... კანისა, ვენერიულისა და ს... ლის ავათმყოფებს. (914-ს და 606 ... შხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—... საათამდე საღამოთი. მისამართი პრო... ტი № 116, სასტუმ რო „ნოე...“-ს პირდა... ტელეფონი 14—26

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
იღებს შინაგანს, კუჭის, ყელის ... ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს ... ლის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ... მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ... ღის პირდაპირ. ტელეფონი 17—4...

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ც... ბა) დაშის შედეგებით დასნეულებულ... სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფ... ტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნ... ლებით ავათმყოფთ ყოველ დღე სა... მოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზა... და მასსაჟი მისამართი: მოსკოვის ქ. № ...

**ექიმი გ. მ. მუხაძე**
იღებს სალოსტაქრო ავათმყოფთ საღამ... 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, ... სამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; ა... ცერთა ეკონომიურ საზ. შენობის ... დაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—...

## მე-6 რაიონის კოლექტივი

მოაგონებს გაზ. „ერთობის“, „ბორბის“ და „ფაიქარის“ ხელის მომწერთ, რ... ვისაც ხელის მოსაწერი ფული არ შემოუტანია დააჩქარონ შემოტანა. უკანასკნე... ლი ვადა არის 1 ივლისი, ვინც ამ ხნის განმავლობაში ფულს არ შემოიტანს ... ზეთის გზავნა მოესპობა. მე 6 რაიონ. კოლექტივ...

## ტრამვაი

თფილისის ტრამვაის დირექცია ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, ... მიმდინარე წლის 17 ივნისიდან ტრამვაის მოძრაობა იწარმოებს დილის 8 საა... დან საღამოს 10 ს. და 30 წუთამდე. უკანასკნელი ვაგონები გარე მდებარე ... ტებიდან გავა სად. 10 საათზე, ორთაჭალისა და სასაკლაოს ხაზზე კი სად. 9 სა...